# წითელწყაროელ მექანიზატორთა თაოსნობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-ე წელი № 130 (11436) | კვირა. 7 ივნისი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა ხალხმა სოციალისტური მშენებლობის მსვლელობაში შრომითი გმირობის სასწაულები მოახდინა. არ შეიძლება ეჭვი ვიქონიოთ, რომ შვიდწლიანი გეგმა გამოიწვევს შრომითი ენთუზიაზმის ახალ აღმავლობას, წარმოშობს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის დიდებული პროგრამის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების ახალ ფორმებს.

**ნ. ს. ხრუშჩოვი.**



დაბა წითელწყაროს ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის უფროსი მექანიზატორი გიორგი დოლიძე.

★

წითელწყაროელი მექანიზატორები წინადადებას აყენებენ გავაჩაღოთ საქართველოს მექანიზატორთა სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის პირველი წლის უხვი მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში უდანაკარგოდ აღებისათვის

★

## 10 სამუშაო დღეში ავიღოთ შვიდწლედის პირველი წლის პურეულის მოსავალი

### წითელწყაროს რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორთა მიმართვა საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორებისადმი

**ძვირფასო ამხანაგებო!**

ჩვენ, წითელწყაროს რაიონის დაბა წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორები, მთელი მონდომებით ვიბრძვით სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, შვიდწლედის პირველ წელსვე სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის.

მივაღწიეთ იმას, რომ წელს პურეულის კარგი მოსავალი გვაქვს. მოსავლის აღება თითქმის კარზეა მომდგარი. ჩვენი მეზობელი რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობა უკვე შეუდგა ქერის აღებას. არც ჩვენ ვართ გულხელდაკრეფილნი. კარგახანია, რაც შევაკეთეთ კომბაინები, ტრაქტორები და სხვა საჭირო ინვენტარი, სანიავებლები და მარცვლის დამხარისხებლები, წესრიგში მოვიყვანეთ ავტომანქანები. წელს თავთავიანი კულტურები ასაღები გვაქვს 1.215 ჰექტარზე, მათ შორის შემოდგომის ხორბალი 1.150 ჰექტარზე.

ღრმად გვაქვს შეგნებული პარტიის XXI ყრილობის მითითება იმის შესახებ, რომ **მიწათმოქმედებაში უახლოესი წლებისათვის მთავარ ხაზად კვლავ რჩება ყოველი ღონისძიებით გადიდება მარცვლეულის წარმოებისა,** როგორც მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლისა. სწორედ მარცვლეულის წარმოების გადიდებაზეა დამოკიდებული საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგის, პირველ რიგში კი საზოგადოებრივი მეცხოველეობის სწრაფი აღმავლობა. ამ ჭეშმარიტების გათვალისწინებით, თავთავიან კულტურებს გარდა, მიმდინარე წელს ჩვენმა კოლმეურნეობამ სიმინდის ნათესების ფართობი შარშანდელთან შედარებით 430 ჰექტარით გაადიდა, სულ კი სიმინდის ნათესს 850 ჰექტარი უჭირავს.

ამჟამად ჩვენთან მიმდინარეობს სიმინდის ნათესების სანიმუშოდ დამუშავება, რათა უზრუნველვყოთ ამ ძვირფასი სამარცვლე-საფურაჟე კულტურის უხვი მოსავლის მიღება.

**იწყება ყველაზე პასუხსაგები პერიოდი სოფლის მეურნეობაში — მოსავლის აღება.** იმისათვის, რომ არ დავუშვათ დანაკარგები, მოსავალი უნდა ავიღოთ მეტად შემჭიდროებულ ვადებში, ამასთან წელს ჩვენს კოლმეურნეობაში **პირველად პურეულის აღებას ვაწარმოებთ, სადაც ეს შესაძლებელია, პროგრესული წესით — ორ ფაზად.**

ახლა ჩვენს კოლმეურნეობაში თითქმის ყოველდღე მოწმდება პურეულის სიმწიფე, მთავრდება მოსავლის აღებისათვის მზადყოფნის უკანასკნელი შემოწმება. 8 „სტალინეც-6“ მარკის და 1 თვითმავალი კომბაინი უკვე ამ დღეებში გავა თავის საბრძოლო ზღუდეებზე პურეულის ყანების გასწვრივ.

სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ზრუნვის პასუხად ჩვენ, დაბა წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორები, ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

**თავთავიანი კულტურების მოსავალი ავიღოთ 10 სამუშაო დღეში და უდანაკარგოდ. უზრუნველვყოთ ყველა კომბაინის შეუფერხებელი მუშაობა, ამასთან თვითეულის სადღეღამისო წარმადობა ავიყვანოთ სულ მცირე 20 ჰექტარამდე;**

**პურეულის მოსავლის აღებისთანავე მოვაწყოთ ნამჯისაგან ფართობის გაწმენდა და ხვნა სანაწვერალო სიმინდის დასათესად;**

**კომბაინთა აგრეგატები ვამუშაოთ შეუფერხებლად, ბუნკერიდან მარცვლის გადმოცლა ვაწარმოოთ აგრეგატის გაუჩერებლად;**

**თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების გარდა, სიმინდისა და მზესუმზირას მოსავალი ავიღოთ მხოლოდ ჩვენი, მექანიზატორთა ძალებით, მექანიზმების გამოყენებით;**

**მოსავლის აღების პარალელურად თავდადებულად ვიბრძოლოთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად. ამ მიზნით უზრუნველვყოთ 10.000 ტონა ხარისხოვანი სიმინდის სილოსის ჩადება, ამას გარდა 1.200 ჰექტარ ბუნებრივ სათიბებზე გავთიბოთ ბალახი, ხოლო 100 ჰექტარ ფართობზე ერთწლიანი ბალახი და პირუტყვი უზრუნველვყოთ უხეში საკვების ორი წლის მარაგით;**

**მოსავლის აღების მთელ სეზონში დავზოგოთ საწვავი 8 პროცენტით, ხოლო პურეულის ნათესის თვითეულ ჰექტარზე აღების ხარჯები შევამციროთ სამი მანეთით;**

**მზრუნველობა არ მოვაკლოთ სიმინდის ნათესებს, ამ გზით მივაღწიოთ იმას, რომ საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 30 ცენტნერი მარცვლეული; ნაწვერალზე სიმინდი დავთესოთ 300 ჰექტარზე მხოლოდ კვადრატულ-ბუდობრივად, ამასთან მთელ ამ ფართობზე უზრუნველვყოთ ორმხრივი მიმართულებით ჯვარედინად დამუშავება და საშუალოდ ჰექტარზე 300 ცენტნერი მწვანე მასის მიღება;**

ვმუშაობთ რა საქვეყნოდ ცნობილი მექანიზატორის ალექსანდრე გიტალოვის ნაცადი მეთოდით, რომელსაც გიტალოვის ბრიგადაში ყოფნის დროს ზედმიწევნით გაეცნო ჩვენი კოლმეურნეობის უფროსი მექანიზატორი გიორგი დოლიძე, გადავწყვიტეთ ჩვენს განკარგულებაში არსებული მთელი მექანიზმები ისე სრულყოფილად ვამუშაოთ, რომ **მინიმუმამდე დავიყვანოთ მუშახელის გამოყენება მოსავლის აღებისა და სიმინდის ნათესების შრომატევად სამუშაოებში,** როგორც ამას აღწევს ა. გიტალოვის მექანიზატორთა ბრიგადა, **კოლმეურნეთა დაუხმარებლად მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ ავიღოთ პურეულისა და სიმინდის მთელი მოსავალი.**

ვკისრულობთ რა ამ სერიოზულ ვალდებულებებს, ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორებს **ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება მოსავლის მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ აღებისათვის, შვიდწლედის პირველი წლის დიად დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.**

პირობას ვიძლევით არ დავიშუროთ ძალღონე საქვეყნოდ დადებული პირობის ღირსეულად განაღდებისათვის. ჩვენ გვწამს, რომ ამით ხელს შევუწყობთ საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ ამაღლებას, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებას, ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებით ღირსეულ წვლილს შევიტანთ მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების საქმეში.

დაბა წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორთა სახელით: გიორგი **დოლიძე** — კოლმეურნეობის უფროსი მექანიზატორი, არსენ **დელიანოვი** — 1-ლი სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი, გაიოზ **მეხრიშვილი** — მე-2 სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი; კომბაინერები — ივანე **ნასიბოვი**, ივანე **ჭადაბიძე**, ივერ **გონაშვილი**; ტრაქტორისტები — გიორგი **პოპოვი**, მიხეილ **კონდეროვი**, შალვა **მაისურაძე**, გივი **იაკობიშვილი**.

## ნ. ს. ხრუშჩოვი და რ. ი. მალინოვსკი მოსკოვში დაბრუნდნენ

6 ივნისს ალბანეთსა და უნგრეთში მოგზაურობიდან მოსკოვში დაბრუნდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი.

ვნუკოვოს აეროდრომზე საბჭოთა მთავრობის მეთაურს შეხვდნენ ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ნ. გ. იგნატოვი, ა. ი. კირიჩენკო, ფ. რ. კოზლოვი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, დ. ს. პოლიანსკი.

შემხვედრთა შორის იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. კოზლოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ა. თ. ზასიადკო და დ. თ. უსტინოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სსრ კავშირის მინისტრები, საბჭოთა კავშირის მარშლები, ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი თანამშრომლები, დედაქალაქის მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი.

აეროდრომზე იყვნენ სსრ კავშირში ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი ნესტი ნასე, დიპლომატიური კორპუსის წევრები, ალბანელი სტუდენტები, რომელნიც მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ.

თვითმფრინავიდან ჩამოდის ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი. გაისმის მქუხარე ტაში და გულითადი, მეგობრული მისალმებანი, შეძახილები „ვაშა!“. საბჭოთა მთავრობის მეთაურსა და მარშალ რ. ი. მალინოვსკის ბავშვებმა ყვავილების თაიგულები მიართვეს.

ნ. ს. ხრუშჩოვი და რ. ი. მალინოვსკი ხელს ართმევენ შემხვედრთ, რომელთა შორის იყვნენ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები, დელეგაციისა, რომელიც ეწვია ალბანეთის სახალხო რესპუბლიკას. დელეგაციის ყოფნა ალბანეთში გადაიქცა ორი ქვეყნის ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობის, მთელი სოციალისტური ბანაკის შეკავშირებისა და ერთიანობის დემონსტრაციად. სამშობლოში მომავალი ნ. ს. ხრუშჩოვი და რ. ი. მალინოვსკი არაოფიციალური ვიზიტით იყვნენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში, სადაც ისინი აგრეთვე გულთბილად, გულითადად მიიღეს.

საბჭოთა ხელმძღვანელები აეროდრომიდან ლუჟნიკში წავიდნენ. (საკდესი).

## ამხანაგ იანოშ კადარს, ამხანაგ ფერენც მიუნიხს, ამხანაგ იშტვან დობის

ბუდაპეშტი

ვტოვებთ რა მოძმე უნგრეთის ფარგლებს, მხურვალე მადლობას გიძღვნით თქვენ, ძვირფასო მეგობრებო, სტუმართმოყვარეობისათვის, რაც გაგვიწიეთ, და გულითადი შეხვედრებისათვის.

სულით და გულით გისურვებთ თქვენ, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთელ ხალხს ახალ, კიდევ უფრო დიდ წარმატებებს თქვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

ახალ შეხვედრებამდე, ძვირფასო ამხანაგებო.

**ნ. ხრუშჩოვი**

**მარშალი რ. მალინოვსკი**

თვითმფრინავი „ტუ-104“, 1959 წლის 6 ივნისი.

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალი ვიზიტის გამო ფინეთში

ფინეთის მთავრობამ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს გამოუგზავნა მოწვევა ესტუმროს ფინეთს მიმდინარე წლის აგვისტოში დანიაში, შვეციასა და ნორვეგიაში მოგზაურობის დროს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა აცნობა, რომ კმაყოფილებით იღებს ამ მოწვევას და ესტუმრება ფინეთს აგვისტოში რამდენიმე დღით ნორვეგიაში ვიზიტის შემდეგ.



სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): დაბა წითელწყაროს ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის უფროსი მექანიზატორი გ. დოლიძე, კომბაინერი ი. გონაშვილი, ტრაქტორისტი ტ. კვანჭილაშვილი, მეშტურვალე ზ. პოპიაშვილი ამოწმებენ პურეულის სიმწიფეს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

# ურყევია მძლავრი სოციალისტური ბანაკის ძალა

## მიტინგი მოსკოვის სპორტის სასახლეში

მრავალ ათასობით ადამიანმა მიიღო მონაწილეობა საზეიმო შეხვედრაში, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სამშობლოში დაბრუნებას ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში მოგზაურობიდან. 6 ივნისს ნაშუადღევს ლუჟნიკის სპორტის სასახლის ვეებერთელა დარბაზში შეიკრიბნენ დედაქალაქის ქარხნებისა და ფაბრიკების მუშები და მოსამსახურეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, მინისტრები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, საბჭოთა კავშირის მარშლები, აგრეთვე უცხოელი დიპლომატები.

15 საათზე პრეზიდიუმის მაგიდასთან გამოჩნდნენ ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ნ. გ. იგნატოვი, ა. ი. კირიჩენკო, ფ. რ. კოზლოვი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, დ. ს. პოლიანსკი, პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები, რომლებსაც მხურვალე ტაშით შეხვდნენ.

პარტიისა და მთავრობის დელეგაციას მისასალმებელი სიტყვით მიმართა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. უსტინოვმა.

დღეს ყველა ჩვენგანისათვის დიდი, სასიხარულო დღეა, თქვა ქარხანა „დინამოს" ხარატმა ს. ე. ლუკახინმა, რომელიც გამოვიდა მოსკოვის მუშათა სახელით. მან განაცხადა, რომ ალბანეთის ხალხთან ნ. ს. ხრუშჩოვისა და დელეგაციის წევრთა გულითადი შეხვედრები საბჭოთა ხალხისა და ალბანელი ხალხის მარადიული და ურღვევი მეგობრობის, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ერთიანობისა და შეკავშირების დადასტურება იყო.

მოსკოვის ოლქის სოფლის მეურნეობის მუშაკთა სახელით მიტინგზე გამოვიდა ნოგინსკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი კ. პ. სედოვა.

მოძმე ქვეყანა ალბანეთში მოგზაურობის წარმატებით დამთავრების გამო პარტიისა და მთავრობის დელეგაციას მიესალმა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ვ. ტ. მაკაროვი.

მამაცი ალბანელი ხალხისადმი საბჭოთა ადამიანების დიდ სიმპათიაზე ილაპარაკა ჩარხსაინსტრუმენტო ინსტიტუტის სტუდენტმა სვეტლანა გუროვამ.

ორატორთა გამოსვლების დროს ხშირად ისმოდა ტაში. დარბაზში მქუხარე ოვაცია გაისმა, როცა ტრიბუნაზე ავიდა დელეგაციის მეთაური — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი.

თავის სიტყვაში ნ. ს. ხრუშჩოვმა ხაზი გაუსვა იმას, რომ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მოგზაურობა ალბანეთში მეტად სასარგებლო და საინტერესო იყო. სასარგებლო იყო, თქვა მან, უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ჩვენ და ალბანეთის შრომის პარტიისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელებმა აზრები გავუზიარეთ ერთმანეთს ყველა დიდმნიშვნელოვან საკითხზე, რომლებიც ეხებოდა როგორც უშუალოდ ჩვენს სახელმწიფოებს, ისე საერთაშორისო ცხოვრებასაც. შეხვედრის დროს ერთხელ კიდევ გამოვლინდა სრული ურთიერთგაგება პირდაპირ ყველა საკითხზე.

ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა, რომ საჭიროა უფრო ხშირად შეხვედრა და აზრთა გაზიარება არა მარტო მაშინ, როცა ქვეყნებისა და პარტიების ხელმძღვანელ მოღვაწეებს შორის უთანხმოებაა. საჭიროა უფრო ხშირად შეხვედრა და აზრთა გაზიარება იმისათვის, რომ არასოდეს არ წარმოიშვას რაიმე უთანხმოება. უთანხმოება რომ არ წარმოიშვას, საჭიროა ყოველთვის ვზრუნავდეთ იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ და გავაუმჯობესოთ ურთიერთობა ქვეყნებს შორის, ხელმძღვანელ სახელმწიფო და პარტიულ მოღვაწეებს შორის.

ჩვენი მოგზაურობა, განაგრძო ნ. ს. ხრუშჩოვმა, საინტერესო იყო იმით, რომ ჩვენ თვითონ ვნახეთ ეს ქვეყანა, გავეცანით მის შესანიშნავ და თავისუფლებისმოყვარე ხალხს.

აღნიშნა რა ალბანელი ხალხის თვალსაჩინო წარმატებანი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში, ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა, რომ ეს წარმატებანი სოციალისტური წყობილების უდავო უპირატესობათა მაჩვენებელია. შორს არ არის ის დრო, როცა ალბანეთი თვალმარგალიტი იქნება სოციალისტურ ქვეყნებს შორის. ეს იქნება თვალსაჩინო მაგალითი ხმელთაშუა ზღვის აუზის ყველა ქვეყნისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვი შეეხო ალბანეთის სოფლის მეურნეობას და ხაზი გაუსვა იმას, რომ სოციალისტურმა ქვეყნებმა უნდა იარონ არა ავტარკიის გზით, ესე იგი სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მხოლოდ თავიანთი ხალხის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის თავიანთი მეურნეობის განვითარების გზით, არამედ მჭიდრო თანამშრომლობის, კოოპერირების გზით, რათა უფრო რაციონალურად იქნას გამოყენებული მიწა თვითეულ ქვეყანაში.

ნ. ს. ხრუშჩოვმა გაახსენა დამსწრეთ, რომ საბჭოთა კავშირის მარშალ რ. ი. მალინოვსკისთან და ალბანეთის ხელმძღვანელებთან ერთად იგი იყო ალბანეთის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე და თქვა, რომ ალბანელმა მეგობრებმა გამოთქვეს სურვილი და ითხოვეს გავუწიოთ მათ დახმარება ნაპირებისა და ყურეების ათვისებაში, რომლებიც ძალიან კარგია თევზსაჭერი ფლოტისათვის. ჩვენ, დასძინა მან, ჩვენს მეგობარ ალბანელებთან ერთად უნდა მოვიფიქროთ და შევთანხმდეთ ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე თევზსაჭერი ფლოტის გაძლიერების შესახებ, რათა ალბანეთისა და საბჭოთა კავშირისათვის სასარგებლოდ ვიჭერდეთ იქ კარგ თევზს.

ალბანეთის როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო მდგომარეობა ამჟამად ძალიან კარგია, მტკიცეა, განაგრძო ნ. ს. ხრუშჩოვმა. თუმცა იგი რამდენადმე დაშორებულია სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს, მაგრამ ამას ახლა არსებითი მნიშვნელობა აღარა აქვს. ალბანეთი შედის მძლავრი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ოჯახში, შედის ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების თანამეგობრობაში, და ამიტომ იგი თავს მტკიცედ და რწმენით გრძნობს. ამას ითვალისწინებენ იტალია, საბერძნეთი და სხვა ქვეყნები, რომლებიც არაკეთილმოსურნედ ეპყრობოდნენ ალბანეთს. ისინი იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ იმას, რომ ალბანეთი მარტო არ არის.

ჩვენ ვამბობდით, რომ ალბანეთზე თავდასხმა საბჭოთა კავშირზე თავდასხმაა, სოციალისტურ ბანაკზე თავდასხმაა. ამიტომ, თუ ვინმემ სცადა თავს დაესხას ალბანეთს ან სხვა სოციალისტურ ქვეყანას, აგრესორებს გამანადგურებელ წინააღმდეგობას გავუწევთ.

თავისი სიტყვის დასკვნით ნაწილში ნ. ს. ხრუშჩოვმა ხაზი გაუსვა იმას, რომ, საბჭოთა მთავრობის აზრით, ყველაზე გონივრული იქნება შეიქმნას ბალკანეთში უატომო, ურაკეტო ზონა ურთიერთკონტროლით.

პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სახელით, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით მან მადლობა გადაუხადა ალბანეთის ხელმძღვანელებს, მოძმე ალბანელ ხალხს განსაკუთრებით გულითადი მიღებისათვის, რომელიც ალბანეთში ყველგან მოუწყეს საბჭოთა დელეგაციას.

* * *

დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს მშრომელთა წარმომადგენლებისა და დელეგაციის მეთაურის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები. ამ გამოსვლების ლეიტმოტივი იყო მტკიცე რწმენა სოციალისტური ბანაკის მძლავრი, ურყევი ძალისადმი, ბანაკისა, რომელიც მთელ კაცობრიობას უკაფავს გზას ნათელი მომავლისაკენ. მიტინგი საბჭოთა კავშირ-ალბანეთის ურღვევი მეგობრობის მკაფიო დემონსტრაცია იყო. მან ერთხელ კიდევ ცხადყო საბჭოთა ადამიანების შეკავშირება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო. (საქდესი).

## სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების 1959 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულება

1959 წლის 1 ივნისისათვის

ხორცის დამზადების 1959 წლის პირველი ნახევრის გეგმა 1 ივნისისათვის მთლიანად რესპუბლიკაში შესრულებულია 84,3 პროცენტით, რძისა — 77,5 პროცენტით, კვერცხისა — 86,8 პროცენტით, მატყლისა — 84,4 პროცენტით, მსხვილფეხა პირუტყვის ტყავისა — 92,6 პროცენტით, ღორის ტყავისა — 73,2 პროცენტით, ბეწვეულისა — 100,2 პროცენტით, საქურქე ნედლეულისა — 103,1 პროცენტით, ჯაგრისა — 116,1 პროცენტით.

ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 30,6 პროცენტით.

1958 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ამ პროდუქტების დამზადება შეადგენს — ხორცისა — 99,7 პროცენტს, რძისა — 114,0 პროცენტს, კვერცხისა — 120 პროცენტს, მატყლისა — 110,8 პროცენტს, მსხვილფეხა პირუტყვის ტყავისა — 112,5 პროცენტს, წვრილფეხა პირუტყვის ტყავისა — 119,7 პროცენტს, ღორის ტყავისა — 102,5 პროცენტს, ხარისხოვანი ჩაის ფოთლისა — 112,9 პროცენტს.

შარშანდელზე მნიშვნელოვნად უკეთ მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება მოსახლეობაში. შესყიდულია 1.238 ტონით მეტი ხორცი, 1.899 ათასი ცალით მეტი კვერცხი და 1.463 ცენტნერით მეტი მატყლი, ვიდრე 1958 წლის შესაბამის პერიოდში.

ხორცის, რძის, კვერცხისა და მატყლის დამზადების 1959 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულება რესპუბლიკაში, ასს რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქსა და რაიონებში 1959 წლის 1 ივნისისათვის ხასიათდება შემდეგი მონაცემებით — პროცენტობით:

| | ხორცი | რძე | კვერცხი | მატყლი |
|---|---|---|---|---|
| აფხაზეთის ასსრ | 91 | 43 | 75 | 30 |
| აჭარის ასსრ | 108 | 68 | 94 | — |
| სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | 78 | 84 | 46 | 102 |
| ახალქალაქის რაიონი | 60 | 76 | 148 | 7 |
| ბოგდანოვკის | 70 | 93 | 161 | 6 |
| ახალციხის | 118 | 85 | 132 | 54 |
| ადიგენის | 103 | 77 | 124 | 57 |
| ხაშურის | 70 | 63 | 71 | 67 |
| ასპინძის | 75 | 65 | 110 | 30 |
| ქარელის | 94 | 70 | 71 | 42 |
| გორის | 83 | 76 | 94 | 19 |
| კასპის | 65 | 51 | 78 | 40 |
| ბორჯომის | 92 | 65 | 73 | 9 |
| საგარეჯოს | 51 | 77 | 84 | 100 |
| გურჯაანის | 74 | 107 | 105 | 100 |
| სიღნაღის | 59 | 63 | 83 | 123 |
| წითელწყაროს | 62 | 90 | 106 | 100 |
| თელავის | 82 | 66 | 101 | 71 |
| ახმეტის | 62 | 64 | 93 | 108 |
| ყვარლის | 60 | 67 | 53 | 110 |
| ლაგოდეხის | 126 | 118 | 105 | 71 |
| სამგორის | 81 | 85 | 87 | 132 |
| მცხეთის | 62 | 111 | 61 | 96 |
| მარნეულის | 62 | 75 | 93 | 88 |
| ბოლნისის | 93 | 113 | 84 | 91 |
| წალკის | 35 | 77 | 50 | — |
| დუშეთის | 62 | 62 | 74 | 101 |
| თეთრი წყაროს | 95 | 102 | 109 | 68 |
| დმანისის | 66 | 80 | 90 | 47 |
| თიანეთის | 57 | 56 | 90 | 129 |
| ყაზბეგის | — | 51 | — | 103 |
| სამტრედიის | 200 | 92 | 71 | — |
| წულუკიძის | 151 | 94 | 85 | — |
| ვანის | 89 | 54 | 89 | — |
| თერჯოლის | 130 | 84 | 86 | — |
| მაიაკოვსკის | 83 | 58 | 69 | — |
| ზესტაფონის | 118 | 92 | 71 | — |
| ქალ. ჭიათურა | 139 | 90 | 71 | — |
| საჩხერის რაიონი | 171 | 112 | 100 | — |
| ორჯონიკიძის | 94 | 79 | 132 | — |
| წყალტუბოს | 129 | 76 | 96 | — |
| ტყიბულის | 176 | 118 | 101 | — |
| ონის | 105 | 67 | 98 | — |
| ამბროლაურის | 103 | 82 | 131 | — |
| ცაგერის | 76 | 50 | 101 | — |
| ლენტეხის | 57 | 29 | — | — |
| აბაშის | 123 | 83 | 101 | — |
| ცხაკაიას | 110 | 58 | 42 | — |
| გეგეჭკორის | 101 | 63 | 100 | — |
| ზუგდიდის | 109 | 72 | 53 | — |
| ხობის | 99 | 54 | 101 | — |
| წალენჯიხის | 120 | 64 | 83 | — |
| ჩხოროწყუს | 119 | 80 | 65 | — |
| მახარაძის | 164 | 125 | 126 | — |
| ლანჩხუთის | 169 | 102 | 100 | — |
| ჩოხატაურის | 154 | 141 | 151 | — |
| მესტიის | 43 | 90 | — | — |
| ქალ. ფოთი | 113 | 62 | — | — |

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო

## შვიდწლედის გამოფენის პავილიონებში



ქართული მარკის საქონელს მთელ მსოფლიოში იცნობენ. ჩვენი ჩაი და კონიაკი, ხელსაწყოები და მანქანები, ჩარხები და ფეროშენადნობები იგზავნება თითქმის ყველა ქვეყანაში და, წარმოიდგინეთ, მეექვსე კონტინენტზეც — ანტარქტიდაში. და თუ გნებავთ ნახოთ ეს საქონელი, იგრძნოთ ინდუსტრიული საქართველოს მაჯისცემა, ესტუმრეთ თბილისში, დიდუბეში, მწვანეში ჩაფლულ

### გაიხსნა სამრეწველო გამოფენა

სამრეწველო გამოფენას, რომელიც გუშინ გაიხსნა.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გ. დ. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. გ. ს. ძოწენიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. პ. ვ. კოვანოვი, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გ. ი. ჩოგოვაძე.

ნაშუადღევის სრულ ხამ საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ს. ძოწენიძემ გადაჭრა ლენტი. იწყება გამოფენის დათვალიერება.

სამრეწველო გამოფენა პირველად შარშან მოეწყო, თბილისის 1500 წლისთავის საზეიმო დღეებში, მაგრამ მაშინ პავილიონებში მხოლოდ დედაქალაქის სამრეწველო საწარმოების მიერ დამზადებული საქონელი იყო წარმოდგენილი. წელს რესპუბლიკურ სამრეწველო გამოფენაზე ფართოდ ჩვენებით არიან წარმოდგენილი აგრეთვე რუსთავის, ქუთაისის, ბათუმის, ზესტაფონის, ფოთისა და რესპუბლიკის სხვა სამრეწველო ცენტრების საწარმოები, მათ შორის ის ფაბრიკები და ქარხნები, რომელთა დაბადების თარიღი შვიდწლედის პირველი წელია. გამოფენაზე ექსპონირებულია უახლესი ჩარხები, მანქანები, ხელსაწყოები, ავეჯი, ფართო მოხმარების საქონელი, რომლებიც საქართველოს საწარმოთა კოლექტივებმა შვიდწლედის წარმატებით შესრულებისათვის გაჩაღებული თავდადებული შემოქმედებითი შრომის დღეებში აითვისეს და გამოუშვეს.

სამრეწველო გამოფენის ძირითადი მიზანია შვიდწლედის ამოცანების პოპულარიზაცია და მათი წარმატებით შესრულებისათვის მასების შემოქმედებითი აქტივობის ამაღლება. გამოფენის შესასვლელს, რომლის თავზე გამოხატულია საბჭოთა ხალხის უბადლო ნიჭის და დაუშრეტელი ენერგიის სიმბოლო — დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი, ამშვენებს ლამაზად გაფორმებული ვეებერთელა დიაგრამები, რომლებზეც ასახულია შვიდწლედში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების დიდებული პერსპექტივები.

დაინტერესებულ დამთვალიერებლებს ყოველ კითხვაზე ამომწურავ ახსნა-განმარტებას მისცემენ კვალიფიციური კონსულტანტები — სამრეწველო გამოფენის შტატის მუშაკები. ექსპონატები მოთავსებულია დახურულ პავილიონებში...

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანამ სამრეწველო გამოფენის ექსპონატებად წარადგინა უნივერსალური სახარატო ჩარხი „163", სპეციალური სახეხავ-სარანდავი ჩარხი ТТ-43 და მილსაჭრელი ჩარხი 9 А 151, თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანათსამშენებლო ქარხანამ — თვითმავალი შასი. დამთვალიერებელთა ყურადღებას მიიპყრობს გორის ბამბეულის კომბინატის მიერ გამოშვებული ლამაზი, ნატიფი ქსოვილები, ავეჯის საწარმოებში დამზადებული მოხერხებული, მაღალხარისხოვანი ავეჯი მცირეგაბარიტიანი ბინებისათვის. გამოფენაზე ძვირფასი ექსპონატები წარადგინეს აგრეთვე თბილისის სახეხი ჩარხების სამშენებლო ქარხნის, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის, და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

კმაყოფილებით, სიამაყის გრძნობით გაეცნობიან დამთვალიერებლები პავილიონებში წარმოდგენილ შესანიშნავ ექსპონატებს.

ა. ხუჭუა.

# გამოჩენილი ქართველი მეცნიერი

## კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავის გამო

ქართული კულტურის დიდ მკვლევარს, მხცოვან აკადემიკოსსა და პროფესორს კორნელი სამსონის-ძე კეკელიძეს დაბადების ოთხმოცი წელი შეუსრულდა. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე იგი დაუცხრომლად იკვლევდა და იკვლევს მდიდარი მშობლიური მწერლობის ისტორიის საკითხებს.

კ. კეკელიძე ერთი იმათთაგანია, ვინც ძველი რეჟიმის პირობებში საკუთარი თაოსნობით, დიდი შრომითა და ბეჯითობით გაიკაფა გზა მეცნიერების მწვერვალებისაკენ. იგი ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ჩაება სამეცნიერო მუშაობაში. თავისი სპეციალობის საგნად იმთავითვე აირჩია ქართული ლიტერატურის ყველაზე შეუსწავლელი დარგი — უძველესი პერიოდის მწერლობა (ეგრეთწოდებული სასულიერო მწერლობა). უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისას, 1904 წელს, კ. კეკელიძემ საკვალიფიკაციოდ დაწერა გამოკვლევა „ქართული ლიტურგიკული ძეგლები და მათი სამეცნიერო მნიშვნელობა". შრომას იშვიათი წარმატება ხვდა. ოფიციალური ოპონენტების დასკვნით, მცირეოდენი შევსება-შესწორების შემდეგ ის შრომა თამამად გამოდგებოდა სამაგისტრო დისერტაციად. მართლაც, „ქართული ლიტურგიკული ძეგლების" გავრცობილმა და გადამუშავებულმა რედაქციამ 1908 წელს მის ავტორს დამსახურებულად მოუპოვა მაგისტრის სამეცნიერო ხარისხი (ჩვენს დროში მაგისტრის ხარისხი დოქტორის ხარისხს გაუთანაბრდა).

თავისი ჩინებული გამოკვლევებითა და ტექსტების მეცნიერული პუბლიკაციით კ. კეკელიძემ ახალგაზრდობაშივე გაითქვა სახელი. დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კ. კეკელიძის სამეცნიერო მოღვაწეობაში ახალი ხანა დაიწყო. 1918 წელს ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით საფუძველი ჩაეყარა ქართული სამეცნიერო აზრის იმ დიდებულ კერას, ახლა რომ თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეწოდება. კ. კეკელიძე ერთი იმ მთავარი ბურჯთაგანია, რომელსაც მტკიცედ დაეფუძნა საქართველოს პირველი უმაღლესი სასწავლებელი. კ. კეკელიძე ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის პირველი (და შემდგომ უცვლელი) ხელმძღვანელი გახდა.

არაჩვეულებრივად გაფართოვდა და გაღრმავდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშაობა საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების დროიდან. კ. კეკელიძე უნივერსიტეტის წინსვლისა და ზრდის ხელმძღვანელი მონაწილეა. ფრთები გაშალა მისმა პედაგოგიურმა და სამეცნიერო-კვლევითმა საქმიანობამ.

კ. კეკელიძეს გამოქვეყნებული აქვს ორასზე მეტი ნაშრომი, აქედან ბევრი ცალკე წიგნის სახით. მისი მეცნიერული რედაქციით დაიბეჭდა ძველი ქართული მწერლობის მრავალი ღირსშესანიშნავი ძეგლი, იგი ათობით მონოგრაფიული გამოკვლევის ავტორია, დაძაბული და ნაყოფიერი კვლევაძიებითი საქმიანობით მიღებული შედეგები საფუძვლად დაედო კ. კეკელიძის განმაზოგადებელი ხასიათის კაპიტალურ ნაშრომებს.

კ. კეკელიძის სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლამდე ცოტა როდი იყო გაკეთებული ძველი ქართული მწერლობის შესწავლის საქმეში, მაგრამ მაინც დაუძლეველი რჩებოდა ქართული სალიტერატურო მემკვიდრეობის პირველი აღნუსხვისა თუ დაგროვების პერიოდი. კ. კეკელიძე გულმოდგინედ დაეწაფა ძველი ქართული მწერლობის პირველწყაროებს. საქმის უსაზღვრო სიყვარული, ახალგაზრდული ენერგია და გატაცება მას ძალას მატებდა. ხოლო პირველივე შედეგების დიდი ეფექტი მომავალი მუშაობისათვის ამხნევებდა.

კ. კეკელიძეს იმთავითვე კარგად ესმოდა, რომ ძველი ქართული მწერლობის მეცნიერულად შესწავლას ჰქონდა ორმაგი მნიშვნელობა — ქართული, ეროვნული, და მსოფლიო, ზოგად-კაცობრიული. შემაჯამებელი ხასიათის ერთ თავის წერილში კ. კეკელიძე ამბობს: „ქართულ ლიტერატურას, მეტი თუ არა, თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორია მაინც აქვს, — ლიტერატურული ძეგლები ჩვენ უკვე მეხუთე საუკუნიდან მოგვეპოვება, — ამ მხრივ ჩვენი ლიტერატურა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ლიტერატურაა. დიდია და განუზომელი, მეცნიერული თვალსაზრისით ამ ლიტერატურის მნიშვნელობა: იმაში აღბეჭდილია ქართველი ერის კულტურულ-ისტორიული ცხოვრების პერსპექტივები. მის ძეგლებში, ორიგინალურსა თუ ნათარგმნში, გამოვლინებულია უდავო ნიშნები ქართველთა შემოქმედებითი პოტენციისა. ქართულ ლიტერატურას მტკიცე, განუყრელი კავშირი ჰქონდა წინააზიის და დასავლეთის ხალხთა ლიტერატურასთან, სახელდობრ, სპარსულთან, სომხურთან, სირიულთან, არაბულთან, ბერძნულთან, რუსულთან და დასავლეთ-ევროპულთან; ამიტომ მან შემოგვინახა უძველესი პერიოდის თარგმანებში ისეთი ძეგლები, რომელთა ორიგინალი დროთა მსვლელობაში დაკარგულია და მეცნიერებაში საძიებელი გამხდარა".

განსაკუთრებით ძლიერი იყო ძველი საქართველოს სულიერი კავშირი საქრისტიანო სამყაროსთან, უწინარეს ყოვლისა ქრისტიანობის კლასიკურ ქვეყანასთან, ბიზანტიასთან. კ. კეკელიძის გულისყურიც მიმართული იყო ბიზანტიურ-ქართული კულტურული ურთიერთობის ძირეული პრობლემებისაკენ. იგი სისტემატურად აქვეყნებს ძველი ქართული მწერლობის ისეთ ნიმუშებს, რომლებითაც ერთი მხრივ შუქი ეფინება ჩვენი ისტორიული წარსულის ბევრ ბუნდოვან საკითხს, ხოლო მეორე მხრივ საგრძნობლად ივსება მსოფლიო საქრისტიანო მწერლობის ისტორიის ხარვეზები. საკმარისი იქნება, თუ აღვნიშნავთ რომ ბიზანტიური და მსოფლიო საქრისტიანო მწერლობის დიდი წარმომადგენლის სვიმეონ ლოღოთეტის სალიტერატურო მოღვაწეობის საკითხთა მთელი კომპლექსი კ. კეკელიძემ გაარკვია ქართული წყაროების საფუძველზე. მასვე ბედნიერი შემთხვევა მიეცა ქართულ მასალებში აღმოეჩინა ლოღოთეტის განმგრძობის, მანამდე უცნობი შესანიშნავი ბიზანტიელი მწერლის იოანე ქსიფილინოსის ვრცელი ანდერძი, რომლითაც ერთბაშად გადაწყდა ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიის ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა. კ. კეკელიძის გამოკვლევამ „იოვანე ქსიფილინოსი — სიმეონ ლოღოთეტის განმგრძობი" ნამდვილი სენსაცია გამოიწვია როგორც რუსეთის, ისე საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში. ცნობილი რუსი მეცნიერის აკადემიკოს ლატიშევის შეფასებით, ეს იყო ნამდვილი „ხილვა" შუა საუკუნეების ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში.



კ. კეკელიძე სამუშაო კაბინეტში.

თავისი ნაშრომებით კ. კეკელიძემ დაამტკიცა, რომ ქართული ელემენტი აქტიურ როლს ასრულებდა ბიზანტიური კულტურის შექმნაში. კერძოდ, მან აღმოაჩინა ექვთიმე ათონელის მიერ ბერძნულად დაწერილი საყურადღებო ორიგინალური ნაწარმოები.

სალიტერატურო ძეგლების მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემებით, დიდი მონოგრაფიული გამოკვლევებით, წერილებით, ნარკვევებით, შენიშვნებითა და რეცენზიებით კ. კეკელიძემ ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ძველი ქართული სულიერი კულტურის მეცნიერულად შესწავლის საქმეს. მისი ნაშრომების მნიშვნელობა სცილდება ქართულის ფარგლებს. ამიტომაც შემთხვევითი როდია, რომ კ. კეკელიძის ბევრი პუბლიკაცია და გამოკვლევა მთლიანად თუ ნაწილობრივ გადათარგმნილია უცხო ენებზე (ლათინურზე, ინგლისურზე, ფრანგულზე, გერმანულზე). კ. კეკელიძე სისტემატურად თარგმნის და რუსულ ენაზე აქვეყნებს ძველი ქართული მწერლობის საუკეთესო ძეგლებს.

მეტად დიდია კ. კეკელიძის ღვაწლი ძველი ქართული მწერლობის საკითხების მეცნიერულად შესწავლაში. მაგრამ ჩვენი დაუცხრომელი მკვლევარი ოდნავაც არ დაკმაყოფილებულა მარტოოდენ ფაქტოლოგიური მასალების დაგროვებით, მათი ავკარგიანობის შემოწმებით, აღწერითა და პუბლიკაციით თუ ისტორიულ-ლიტერატურული და ფილოლოგიური ხასიათის ანალიზით, ე. ი. ლიტერატურული ფაქტების მეცნიერული ფიქსაციით. იშვიათი საერთო განსწავლულობა, ფართო ერუდიცია, ძველი ქართული სულიერი კულტურის ღრმა ცოდნა, დიდი გამოცდილება, კოლოსალური ენერგია, უზადო ნიჭი და მახვილი კრიტიკული ალღო ჩააქსოვა კ. კეკელიძემ მის მიერვე მოპოვებული მასალების რაობის დადგენას, სისტემატიზაციას და ამ საფუძველზე განმაზოგადებელი და შემაჯამებელი მონუმენტური ნაშრომების შექმნას. ასეთია კ. კეკელიძის ძველი ქართული მწერლობის ისტორიის საყოველთაოდ ცნობილი კურსი ორ ვეებერთელა ტომად. ამ კურსის პირველი გამოცემა დაიბეჭდა 1923-1924 წლებში. შარშან, წლის მიწურულში, გამოვიდა კ. კეკელიძის ქართული ლიტერატურის ისტორიის მეორე ტომის მეოთხე, შევსებულ-შესწორებული გამოცემა. ამჟამად იბეჭდება პირველი ტომის აგრეთვე მეოთხე, შევსებულ-შესწორებული და საფუძვლიანად გადამუშავებული ტექსტი. კ. კეკელიძის ლიტერატურის ისტორიის პირველი ტომი მოიცავს სასულიერო მწერლობას, მეორე — საერო მწერლობას. ორივე ტომი თავის არსებითს ნაწილებში ემყარება უპირატესად პირველწყაროებს და წარმოადგენს ავტორის ხანგრძლივი კვლევა-ძიებითი მუშაობისა და ნაფიქრ-ნააზრევის ნაყოფს. კურსი მოფიქრებული და ჩამოყალიბებულია ორიგინალურად. მის ორივე ნაწილს აზის ავტორის ბეჯითი და გატაცებული მუშაობის ბეჭედი. მასალის სიმდიდრით და სიახლით, მეცნიერული სიზუსტით, მაქსიმალურად შესაძლებელი სისრულითა და ანალიზის სიღრმით კ. კეკელიძის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია" ღირსეულად უპასუხებს საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე მოთხოვნილებებს.

1886 წელს პროფ. ალ. ცაგარელი გულისტკივილით ჩიოდა: „ახლა თითქმის შეუძლებელია დაიწეროს ქართული ლიტერატურის ისტორიის რამდენადმე მაინც მეცნიერული იერის მქონე მიმოხილვა". დღეს კი ჩვენ მოგვეპოვება ამ ლიტერატურის ისტორიის მეთოდოლოგიურად სწორ პრინციპებზე აგებული, ნამდვილად მეცნიერული, სისტემური კურსი. აქ მოცემულია კ. კეკელიძისათვის დამახასიათებელი კეთილსინდისიერებითა და გულმოდგინებით შესრულებული ძველი ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი და მრავალფეროვანი ისტორიის არა მარტო ფაქტიური მხარეების ზუსტი მეცნიერული მიმოხილვა, არამედ ნაჩვენებია ლიტერატურული ცხოვრების განვითარების რთული პროცესის ვითარებაც. კ. კეკელიძე ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებაში დამკვიდრებულ არაერთ ძველ შეხედულებას არღვევს და ახალ ჰორიზონტებს შლის სამერმისო კვლევითი მუშაობისათვის.

კ. კეკელიძის ორტომეული ჭეშმარიტად სამაგიდო წიგნია ყველა იმათთვის, ვისაც კი რაიმე ინტერესი აქვს ჩვენი ქვეყნის კულტურული წარსულისადმი.

თავისი ვრცელი კურსის პირველი ტომის საფუძველზე კ. კეკელიძემ მოამზადა სახელმძღვანელოს ტიპის, შედარებით მოკლე, შემჭიდროებული და უფრო განმაზოგადებელი ხასიათის მიმოხილვა, რომელიც შეადგენს რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ 1954 წელს გამოცემული ძველი ქართული მწერლობის ისტორიის პირველ ნაწილს. ორტომეულის საფუძველზე აგებული კ. კეკელიძის ქართული ლიტერატურის ისტორიის კონსპექტური კურსი რუსულ ენაზე, რომელიც 1939 წელს დაიბეჭდა. კ. კეკელიძის ძველი ქართული მწერლობის ისტორიის პირველი ტომი გერმანულ ენაზე დაამუშავა (უკეთ რომ ვთქვათ, თავის არსებით ნაწილში პირდაპირ გადათარგმნა) და 1955 წელს მ. თარხნიშვილმა გამოაქვეყნა ქ. რომში. ძველ-ქართული სულიერი კულტურის ეს მაღალხარისხოვანი ისტორია ამიერიდან ხელმისაწვდომი გახდა საზღვარგარეთელი მკითხველისთვისაც. კ. კეკელიძის მეცნიერული ნარკვევების დიდი ნაწილი თავმოყრილია მისი „ეტიუდების" ხუთ წიგნში. ახლა იბეჭდება „ეტიუდების" მეექვსე და მეშვიდე წიგნები.

დიდია კ. კეკელიძის დამსახურება სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში. მისი დაუზარელი, მზრუნველი და მოსიყვარულე ხელმძღვანელობის მადლიერი მოწმეა ამ სტრიქონების ავტორიც.

კ. კეკელიძე გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეა. იგი იყო და არის სოციალისტური სამშობლოს კულტურული მშენებლობის დაუღალავი და უაღრესად აქტიური მონაწილე. კ. კეკელიძე წლების მანძილზე უძღვებოდა სამეცნიერო-სასწავლო საქმიანობის ფრიად საპასუხისმგებლო სხვადასხვა უბანს. ამჟამად კ. კეკელიძე განაგებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული მწერლობის ისტორიის კათედრას და ხელმძღვანელობს რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ერთ-ერთ ძირითად განყოფილებას.

ღვაწლმოსილი მეცნიერი 1941 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი შემადგენლობის ნამდვილ წევრად. 1943 წელს მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. კ. კეკელიძე დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და შრომის წითელი დროშის ორდენით, საპატიო სიგელებითა და მედლებით.

მიუხედავად ხანდაზმულობისა და ჯანმრთელობის ერთგვარად შერყევისა 80 წლის მხცოვანი მეცნიერი ამჟამადაც წარმატებით ეწევა სამეცნიერო-შემოქმედებითი ცხოვრების ტვირთს. მას დღემდე შენარჩუნებული აქვს სულიერი მხნეობა, ახალგაზრდული ენერგია, შრომისმოყვარეობის სამაგალითო უნარი, მკვლევარი მეცნიერის ნათელი და ფხიზელი გონება.

ვუსურვებთ გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, კორნელი სამსონის-ძე კეკელიძეს კიდევ დიდხანს სიცოცხლეს ქართული საბჭოთა მეცნიერების საკეთილდღეოდ.

პროფესორი ალ. ბარამიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დასავლეთ სახელმწიფოთა მინისტრები დასავლეთ ბერლინში საოკუპაციო რეჟიმის ლიკვიდაციის წინააღმდეგ**

**ადენაუერის ახალი ხრიკი**

**საფრანგეთის მთავრობას არ სურს შეწყვიტოს ომი ალჟირში**

**ამერიკული თანამგზავრის კიდევ ერთი მარცხი**

# საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი

**ჟენევა**, 5 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს მორიგი სხდომა გაიმართა ქ. ჰერტერის თავმჯდომარეობით. თათბირის დღევანდელ ოფიციალურ სხდომას წინ უძღოდა ოთხი მინისტრის რამდენიმე არაოფიციალური შეხვედრა, რომლებზეც, პრესის ცნობების მიხედვით, ძირითადი იყო ბერლინის საკითხი. საბჭოთა კავშირის წინადადებანი ამ საკითხზე ნათელი და კონკრეტულია.

მთავარი რამ, რის მიღწევაც სსრ კავშირის მთავრობას სურს, არის, ბოლოს და ბოლოს ლიკვიდაცია დასავლეთ ბერლინის საოკუპაციო რეჟიმისა, რომელმაც დიდი ხანია დრო მოჭამა და რომელიც წამლავს სახელმწიფოთა ურთიერთობას, შეიცავს საფრთხეს მშვიდობის საქმისათვის.

ჰერტერმა, რომელიც სხდომაზე პირველი გამოვიდა, პირდაპირ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების აზრით, ბერლინის პრობლემა ვერ გადაიჭრება გერმანიის გაერთიანებამდე. ცხადყო რა ესოდენ აშკარად, რომ არ სურს მონაწილეობა მიიღოს ისეთი მწვავე და გადაუდებელი პრობლემის შეთანხმებული გადაჭრის ძებნაში, როგორიც არის დასავლეთ ბერლინში საოკუპაციო რეჟიმის ლიკვიდაციის პრობლემა, ქ. ჰერტერი შეეცადა თუნდაც როგორმე გაემართლებინა ასეთი პოზიცია. მაგრამ ვერც ერთი სიტყვა ვერ თქვა, რომელსაც შეეძლებოდა განემტკიცებინა იმ დაძაბულობის შენელების ამოცანის ესოდენ საწინააღმდეგო, ესოდენ შეურიგებელი პოზიცია, რასაც ქმნის საომში მდგომარეობა დასავლეთ ბერლინში.

ს. ლოიდმა, რომელიც ქ. ჰერტერის შემდეგ გამოვიდა, გამოთქვა ჟენევის თათბირის დადებითი შედეგის იმედი. მაგრამ იგი მიემხრო ქ. ჰერტერის განცხადებას, რომელიც სრულიადაც არ შეიძლება იყოს კონსტრუქციული წვლილი ღონისძიებებში, რომელთა მიზანია ურთიერთ მისაღები შეთანხმების მიღწევა.

შემდეგ სიტყვა აიღო სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ა. გრომიკომ.

უპასუხა რა ს. ლოიდის იმ კითხვაზე, რომ შესაძლოა სსრ კავშირის დელეგაციამ გადასინჯოს თავისი დამოკიდებულება, როგორც მან თქვა, „დასავლეთ და აღმოსავლეთ ბერლინის გაერთიანების“ გეგმისადმი, რომელსაც შეიცავს დასავლეთის სახელმწიფოთა ეგრეთწოდებული „კომპლექსური გეგმა“ და რომელიც განმეორებულ იქნა უფრო გვიან, ა. ა. გრომიკომ თქვა: ჩემთვის მართლაც გამოცანაა, თუ რამდენად სერიოზულად აყენებს ბ-ნი ლოიდი ამ კითხვას ჩემს წინაშე. ნუთუ თქვენ გსურთ, რომ ჩვენ დავსვათ საკითხი აღმოსავლეთ ბერლინზე საოკუპაციო რეჟიმის გავრცელების შესახებ?

თუ ჩვენ გვსურს დავაახლოოთ პოზიციები და ვეძებოთ შეთანხმება, მაშინ მოდით ჩვენს თათბირს უკანაც კი ნუ დავახევინებთ ზოგ რამეში.

დასასრულ ა. ა. გრომიკომ განაცხადა, რომ მას სურს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენელთა წინაშე დასვას ორი საკითხი, რომელთაც პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვთ ბერლინის საკითხთან, მაგრამ რომელთა შესახებ სსრ კავშირის დელეგაციას სურს იქონიოს უფრო სრული წარმოდგენა დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციის შესახებ. მე მხედველობაში მაქვს, თქვა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა, ჯერ ერთი, იმის დამოწმება, რასაც თქვენი წინადადება შეიცავს, რომ შესაძლებელია რაღაც დეკლარაცია, რაღაც განცხადება. ერთი სიტყვით, რაღაც დოკუმენტი იმის შესახებ, რომ მოხდეს შეთანხმება ძალის გამოუყენებლობასა და იმაზე, რომ ყველა სადავო საკითხი სახელმწიფოთა შორის წყდებოდეს მშვიდობიანი გზით, სათანადო მოლაპარაკების გზით. ამ საკითხზე არ ყოფილა გაკეთებული რაიმე განმარტება. ხომ არ შეუძლიათ ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრებს გააკეთონ შესაბამისი განმარტება, მხედველობაში იქონიონ რა, რომ, იქნებ, აქ არის ამ საკითხზე რაიმე შეთანხმების შესაძლებლობა.

ჩემი მეორე კითხვა, განაგრძო ა. ა. გრომიკომ, შეეხება ევროპის ზონას, რაღაც ზონას. სხვადასხვა გარემოებასთან დაკავშირებით ზონის იდეა ახსენეს ამ თათბირის მონაწილეებმა, მაგრამ ეს იდეა არასოდეს არ განვითარებულა და არ დაზუსტებულა. ჩვენ გვსურს დავსვათ კითხვა: ხომ არ შეუძლიათ სამი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებს ამ საკითხზე გამოთქვან უფრო კონკრეტული მოსაზრებანი და, რა თქმა უნდა, თუ არის მზადყოფნა, გამოთქვან ეს მოსაზრებანი ამ სხდომაზე. თუ ეს რატომღაც მოსახერხებელი არ იქნება, ჩვენ მზად ვართ მოვისმინოთ მოსაზრებანი ყოველ სხვა დროს, როცა მოსახერხებელი იქნება.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლ. ბოლცმა, რომელიც ა. ა. გრომიკოს შემდეგ გამოვიდა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია, როგორც წინათ, იმ აზრისაა, რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება და დასავლეთ ბერლინის გადაქცევა თავისუფალ დემილიტარიზებულ ქალაქად, არის ისეთი პრობლემა, რომელიც შეიძლება მოწესრიგდეს და რომელზეც შეთანხმება საჭიროა მოხდეს. რაც უნდა რთული იყოს ეს პრობლემები, თქვა მან, შეიძლება მათი მოწესრიგება, თუ არის კეთილი ნება და მისწრაფება სერიოზული განხილვისადმი.

ვ. გრევეს მოკლე რეპლიკის შემდეგ, რომლითაც მან ერთხელ კიდევ უარყო წინადადება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოლაპარაკების შესახებ, სხდომა დაიხურა.

მინისტრებმა გადაწყვიტეს უფრო გვიან შეთანხმდნენ შემდეგი სხდომის დღის შესახებ.

## ცოი ენ გენი ტირანაში ჩავიდა

**ტირანა**, 6 ივნისი (საკდესი). როგორც ალბანეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გუშინ ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის მოწვევით ტირანაში მეგობრობის ვიზიტით ჩამოვიდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ცოი ენ გენი.

## სოციალისტურ ქვეყნებში

### ჩინეთი

**პეკინი**. ქალაქ ბაოდინში (ხებეის პროვინცია) სწრაფი ტემპით შენდება კინოფირის დიდი ფაბრიკა, რომელიც პირველია ჩინეთში. ფაბრიკა აღჭურვილი იქნება თანამედროვე მოწყობილობით და ყოველწლიურად გამოუშვებს 200 მილიონ მეტრ კინოფირს.

მშენებლობის 10 თვის მანძილზე აგებულია რამდენიმე საწარმოო საამქრო, ცენტრალური ლაბორატორიის ხუთსართულიანი შენობა და სხვა სათავსები.

მშენებლებმა ვალდებულება იკისრეს ფაბრიკა საექსპლოატაციოდ გადასცენ არა 1964 წელს, როგორც ეს წინათ იყო ნავარაუდევი, არამედ 1961 წელს.

შემდეგ ბაოდინის კინოფირის ფაბრიკის ბაზაზე შეიქმნება დიდი კომბინატი, რომელიც შავ-თეთრ და ფერად კინოფირთან ერთად გამოუშვებს რენტგენის ფირებს, ხმის ჩასაწერ ფირებს და სპეციალურ ფოტოფირებს მეცნიერული კვლევისათვის. (საკდესი).

### ბულგარეთი

სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარებამდე ბულგარეთში რამდენიმე უბადრუკი საბავშვო ბაგა და უპატრონო ბავშვთა ორიოდე თავშესაფარი იყო. სოციალიზმის გზაზე დამდგარ ბულგარეთში კი 2.260 საბავშვო ბაღი და მრავალი კეთილმოწყობილი ბაგა მუშაობს.

ბულგარეთის სკოლებში ახლა 1.300 ათასი ბავშვი სწავლობს. სახელმწიფოს ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად ბავშვთა სიკვდილიანობა ბულგარეთში 2,5-ჯერ შემცირდა.

### რუმინეთი

4 მილიონი წერა-კითხვის უცოდინარი, 1 მილიონზე მეტი ბავშვი სკოლის გარეთ დარჩენილი — ასეთი სურათი იყო რუმინეთში დემოკრატიული წყობილების დამყარებამდე.

სახალხო რუმინეთში მოსწავლეთა რიცხვი 3-ჯერ გაიზარდა. სხვადასხვა საწარმოებთან 1.000-ზე მეტი საბავშვო ბაგა და 7 ათასამდე კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღი მოეწყო.

რუმინეთში, ისევე როგორც ყველა სოციალისტურ ქვეყანაში, ბავშვებზე ზრუნვა პირველხარისხოვან სახელმწიფოებრივ საქმეს წარმოადგენს. ყოველივე საუკეთესო ბავშვთა ბედნიერი და ნათელი ცხოვრებისათვის არის განკუთვნილი.



ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. ხუნშანის (სისიანის მაზრა, ანხუეის პროვინცია) სახალხო კომუნის წევრი ჩაის მკრეფავი ჯან ცინ-ხე დღეში 250 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს. სურათზე: ჯან ცინ-ხე თავის მუშაობის მეთოდს აცნობს დუნძის მეჩაიეთა სკოლის მოსწავლეებს.

ფოტო ხან ძენ-ცისა (სინხუას სააგენტო).

# ყოველი მხრიდან

## «საბჭოთა ადამიანები ამერიკელებთან მშვიდობის ენაზე ლაპარაკობენ»

ჩვენ გვსურს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში იცოდნენ, რომ საბჭოთა ადამიანები ამერიკელებს ელაპარაკებიან მშვიდობის ენაზე, აღნიშნულია ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობის მომხრე საზოგადო მოღვაწეთა დელეგაციის განცხადებაში. ამ დელეგაციამ, რომელიც მონაწილეობას იღებდა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სტოკჰოლმის საიუბილეო სესიაში, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის მოწვევით სსრ კავშირში იმოგზაურა.

სამშობლოში გამგზავრების წინ მან პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა განცხადება; განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ სადაც უნდა მისულიყვნენ დელეგაციის წევრები, ისინი ხედავდნენ მშვიდობიან შემოქმედებით შრომას, რაც საბჭოთა ადამიანების სიხარულისა და სიამაყის წყაროა. მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი, რომ ყოველთვის, როცა ამერიკელებსა და რუსებს ერთმანეთთან შეხვედრისა და საუბრის შესაძლებლობა აქვთ, ისინი მეგობრები ხდებიან.

ჩვენ გვსურს გადავცეთ საბჭოთა ადამიანებს, ნათქვამია განცხადებაში, რომ ამერიკელი ხალხი სულ უფრო აქტიურად გამოდის მშვიდობის დასაცავად.

ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობის მომხრე საზოგადო მოღვაწეთა დელეგაციამ საბჭოთა მშვიდობის მომხრენი შეერთებულ შტატებში მიიწვია საპასუხო ვიზიტით. (საკდესი).

## ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს განცხადება

**ჰანოი**, 5 ივნისი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, 3 და 4 ივნისს ლაოსის სამეფო არმიის მზვერავმა თვითმფრინავებმა დაარღვიეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო საზღვრები.

ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ეს დარღვევა წარმოადგენს უხეშ პროვოკაციას ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ და ლაოსის სამეფო მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს ასეთი პროვოკაციები.

## დებრე უარყოფს მოლაპარაკების გზას

**პარიზი**, 5 ივნისი. (საკდესი). საფრანგეთის მთავრობას განზრახვა აქვს განაგრძოს ომი ალჟირში და წინანდებურად უარყოს ალჟირელი ხალხის წარმომადგენლებთან საზავო მოლაპარაკების გზა — ასეთია ერთადერთი დასკვნა პრემიერ-მინისტრ დებრეს გამოსვლიდან ეროვნულ კრებაში, რომელიც განიხილავდა ალჟირის პრობლემას.

დებრემ განაცხადა, რომ მთავრობამ კიდევაც რომ დაიწყოს რაიმე მოლაპარაკება ალჟირის ეროვნული განმათავისუფლებელი არმიის წარმომადგენლებთან, ასეთი მოლაპარაკება შეზღუდული იქნებოდა მხოლოდ ცეცხლის შეწყვეტის საკითხით; არ შეიძლება მოეწყოს რაიმე პოლიტიკური მოლაპარაკება, რადგან საფრანგეთის მთავრობას არ სურს ალჟირელი ხალხის წარმომადგენლებად მიიჩნიოს ისინი, ვინც იბრძვის მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.



**კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა.** ფხენიანში ამას წინათ დამთავრდა ცენტრალური ვაგზლის ახალი შენობის აგება. მას 8.520 კვადრატული მეტრი ფართობი უჭირავს. აქ ყველაფერი გათვალისწინებულია მგზავრთა კულტურული მომსახურებისათვის. არის რესტორანი, სასტუმრო, სამკითხველო დარბაზი და კინოდარბაზი, დედისა და ბავშვის ოთახი, აბანოები, სამედიცინო პუნქტი, საპარიკმახერო.

**სურათზე:** ცენტრალური ვაგზალი ფხენიანში.

ფოტო ა. ვორონცოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

## ა. ა. გრომიკოს შეხვედრა ლ. ბოლცთან

**ჟენევა**, 5 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი დ-რი ლ. ბოლცი და საუბარი ჰქონდა მასთან საკითხებზე, რომლებიც შეეხება საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის მუშაობას.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის დელეგაციის მხრივ ვ. ა. ზორინმა, ი. ი. ილიჩოვმა და ო. პ. სელიანინოვმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მხრივ — ო. ვინცერმა, გ. ტეპლიცმა, პ. ფლორინმა, ვ. მაისნერმა და გ. კეგელმა.

## ლ. ბოლცის წერილი ბრენტანოსადმი

**ბერლინი**, 5 ივნისი. (საკდესი). როგორც ადნის სააგენტო ჟენევიდან იუწყება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლ. ბოლცმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების უფროსის მეშვეობით წერილი გადასცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ბრენტანოს. ლ. ბოლცის წერილში ნათქვამია, რომ მას მთავრობამ დაავალა დაიწყოს მოლაპარაკება ორ გერმანულ სახელმწიფოს ურთიერთობაში ძალის გამოყენებაზე უარის თქმის საკითხზე ხელშეკრულების დადების შესახებ. ლ. ბოლცი წინადადებით მიმართავს ბრენტანოს დანიშნოს პირველი შეხვედრის ადგილი და დრო.

## ახალი სერიოზული გაფრთხილება

**პეკინი**, 5 ივნისი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, 4 ივნისს 21 საათსა და 49 წუთზე ამერიკის ერთი სამხედრო ხომალდი შეიჭრა ჩინეთის ტერიტორიულ წყლებში პინტანისა და მაძუდაოს რაიონებში (ფუძიანის პროვინცია).

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების ამ სამხედრო პროვოკაციასთან დაკავშირებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს დავალებული აქვს გააკეთოს ახალი სერიოზული გაფრთხილება.

## „დისკავერერ III“ ატმოსფეროში დაიწვა

**ნიუ-იორკი**, 5 ივნისი. (საკდესი). როგორც პრესა ვანდენბერგის (კალიფორნია) სამხედრო-საჰაერო ბაზიდან იუწყება, იქ გამოცხადდა, რომ თანამგზავრი „დისკავერერ III“, რომელშიც ოთხი თაგვი იყო, გუშინწინ გაუშვეს, მაგრამ „ატმოსფეროში დაბრუნდა და დაიწვა ისე, რომ ორბიტაზე არ გასულა“.




იტალიის „განთავისუფლების“ ისტორიიდან.

ნახ. გ. ლომიძისა.

## მოკლე ცნობები

◆ არგენტინაში შეიქმნა ატომურ საფრთხესთან ბრძოლის სახალხო კომისია. კომისიაში შედიან პროფკავშირული, სტუდენტთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და გაერთიანებათა წარმომადგენლები. კომისიამ გამოაცხადა, რომ თავის მიზნად ისახავს ბრძოლას ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის აკრძალვისათვის.

◆ პრაღაში დამთავრდა ვაჭრობის მუშაკთა პირველი საერთაშორისო კონფერენცია.

◆ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ 4 ივნისს განიხილა მშენებლობის საკითხთა მესამე სრულიად რესპუბლიკური კონფერენციის შედეგები და მიიღო გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს თეზისები და ამ კონფერენციის გადაწყვეტილებათა საფუძველზე შემუშავებული გეგმა სოციალისტური გარდაქმნებისა მშენებლობის დარგში.

# ადენაუერმა გადაწყვიტა კანცლერად დარჩეს

**ბონი**, 5 ივნისი. (საკდესის კორ.). იმასთან დაკავშირებით, რომ ადენაუერმა უარი თქვა კენჭი იყაროს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტობაზე, დღეს აქ გაიმართა ბუნდესტაგის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ფრაქციის გამგეობის სპეციალური სხდომა, ხოლო შემდეგ ფრაქციის სპეციალური სხდომა. ორივე სხდომას ესწრებოდა ბონის მთავრობის მეთაური.

გამგეობის სხდომაზე ადენაუერმა დაადასტურა თავისი „მტკიცე განზრახვა“ დარჩეს მთავრობის მეთაურად. ამ ნაბიჯის დასასაბუთებლად მან, დპას სააგენტოს ცნობით, დაიმოწმა „რთული საერთაშორისო ვითარება“. მაგრამ, შინაგან საქმეთა მინისტრის შრედერის გარდა, გამგეობის წევრთაგან არავინ არ დაუჭირა მხარი ადენაუერის არგუმენტებს იმ თავდაპირველი განზრახვის შეცვლის სასარგებლოდ, რომ კენჭი ეყარა პრეზიდენტობაზე და წასულიყო კანცლერის პოსტიდან. შეაჯამა რა გამგეობის წევრთა აზრი, ბუნდესტაგის თავმჯდომარემ ჰერსტენმაიერმა განაცხადა, რომ ადენაუერის არგუმენტები არ არის დამაჯერებელი.

ბუნდესტაგის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ფრაქციის სხდომა ჯერ ისევ გრძელდება.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მეთაურის გადაწყვეტილებამ დარჩეს კანცლერის პოსტზე ბონში მოახდინა „გამსკდარი ბომბის“ შთაბეჭდილება. ადენაუერის ამ ნაბიჯმა მით უმეტეს გამოიწვია განცვიფრება, რომ მან თვითონ ადრე უწოდა ბუნდესტაგის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ფრაქციის ერთსულოვან გადაწყვეტილებას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე მისი კანდიდატურის დასახელების შესახებ „სავსებით მოფიქრებული და სწორი“. ამას მოჰყვა ფარული მოლაპარაკება კანცლერის პოსტზე ადენაუერის მომავალი მემკვიდრის შესახებ, რომლის მსვლელობაში ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის მმართველი პარტიისა და ბუნდესტაგში ამ პარტიის ფრაქციის ხელმძღვანელებმა აგრეთვე არაერთგზის განაცხადეს, რომ ადენაუერის გადაწყვეტილება კენჭი იყაროს პრეზიდენტობაზე მტკიცე და საბოლოოა.

ადენაუერმა პრეზიდენტად კენჭისყრაზე უარი განაცხადა თავის „პირად მეგობართან“ და მრჩეველთან ბანკირ პფერდმენჰესთან გუშინდელი საუბრის დამთავრებისთანავე. მსხვილი კაპიტალის ეს წარმომადგენელი, როგორც პრესაში აღინიშნა, თუმცა საზოგადოებრიობისაგან ფარულ, მაგრამ მეტად დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდა ფარულ დავაში კანცლერის პოსტზე ადენაუერის მემკვიდრის შესახებ.

ადენაუერის უარმა დატოვოს კანცლერის პოსტი წარმოშვა იმედგაცრუება და უკმაყოფილება დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრიობის იმ წრეებში, რომლებიც აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობისაგან მის წასვლას უკავშირებდნენ იმედს, რომ შეიცვლებოდა ბონის პოლიტიკა, შენელდებოდა დაძაბულობა და უარს იტყოდნენ „ძალის პოზიციის“ გაკოტრებულ პოლიტიკაზე.

ადენაუერის მოქმედებას მკვეთრად გმობენ ოპოზიციური პარტიების წრეებში.

**ი. ბორისოვი.**

# შეულამაზებელი ფაქტები

### ძვირფასო რედაქციავ!

ჩვენ, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის საქსოვი საამქროს მე-10 ბრიგადის მუშაკებს, გვაინტერესებს, თუ როგორია ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის ფართო მასების სამედიცინო მომსახურება, სამედიცინო პერსონალის ზრუნვა მოსახლეობისათვის, შეერთებულ შტატებში საავადმყოფოების მდგომარეობა.

თუ შესაძლებელია, გთხოვთ პასუხი გაგვცეთ გაზეთის საშუალებით.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის საქსოვი საამქროს მე-10 ბრიგადის ქვეოსტატი **ვ. ბარნაბიშვილი,**

ამავე ბრიგადის მქსოველი **ნ. ხოსრიაშვილი.**

**რედაქცია აკმაყოფილებს ვ. ბარნაბიშვილისა და ნ. ხოსრიაშვილის თხოვნას და ამ საკითხზე ბეჭდავს ბ. სედოვის წერილს.**

კაცი ლოგინად არის ჩავარდნილი. იგი ორმოცი წლისაა. ოცი წლის წინათ ზურგი დაზიანებია, მაგრამ ფული არ ჰყოფნია, რომ ემკურნალა. ლოგინში გატარებული ოცი წლის მანძილზე მას სხვა სერიოზული დაავადებები განუვითარდა. როცა ჩვენ ვნახეთ, უკვე სამწლინახევრის განმავლობაში მასთან ექიმი არ ყოფილა. სხეულზე სხვადასხვა ზომის თერთმეტი წყლული აქვს, ორივე თირკმელზე და შარდის ბუშტში — ქვები... იკითხავთ, ღირს თუ არა მოუარო ასეთ კაცს? იგი გიპასუხებთ: „ღირს“. მას სიცოცხლე სურს.

ეს შემთხვევა აწერილი აქვს ამერიკელ ჟურნალისტს რიჩარდ კარტერს წიგნში „ბიზნესი მედიცინაში“, რომელიც ამას წინათ გამოვიდა ნიუ-იორკში. ასეთი შემთხვევა ერთეული როდია ამერიკის შეერთებულ შტატებში. იქ მშრომელ ადამიანს იშვიათად შეუძლია იშოვნოს მკურნალობისათვის საკმარისი სახსრები. ამას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დ. ეიზენჰაუერიც კი აღიარებს. იანვრის მიმართვაში კონგრესისადმი ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე იგი წერდა: „ბევრ ჩვენს თანამემამულეს — ამერიკელს არ შეუძლია გაიღოს სამედიცინო დახმარების ხარჯები, როცა ეს დახმარება საჭიროა“.

ომისშემდგომ პერიოდში ამერიკის შეერთებულ შტატებში სამედიცინო მომსახურების ღირებულება განუწყვეტლივ იზრდება. ოფიციალური მონაცემების თანახმად ათ წელიწადში 1947-დან 1957 წლამდე ექიმის მომსახურების ქირა საშუალოდ 31,4 პროცენტით გადიდდა, ხოლო წამლების ღირებულება — 25 პროცენტით.

განსაკუთრებით ძვირია ამერიკის შეერთებულ შტატებში საავადმყოფოებში მკურნალობა. მისი ღირებულება, როგორც ამერიკული ჟურნალი „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“ აღნიშნავს, უკანასკნელ ათ წელიწადში სამ-ოთხჯერ გაიზარდა. ათასობით ამერიკელი იძულებულია წლობით შინ იწვეს, ვინაიდან მკურნალობისათვის საჭირო ფული არა აქვს. ამ მხრივ დამახასიათებელია ავადმყოფი მეშახტის წერილი, რომელიც მოყვანილია რ. კარტერის წიგნში:

„15 წლისა ვიყავი, ქვანახშირის შახტებში რომ დავიწყე მუშაობა. 1933 წლის 18 მაისს ზურგი დამიზიანდა ქანის ჩამოშვავების დროს, რომელმაც ჩემი მეგობარი იმსხვერპლა. ორივე ფეხი დადამბლავებული მაქვს. ჩემი სიცოცხლის ყოველი დღე ტანჯვაა... მიმიღეს საავადმყოფოში, სადაც ერთხანს მკურნალობდნენ შტატის სადაზღვევო ფონდის ხარჯზე. შემდეგ, როცა ჯერ კიდევ კრიზისულ მდგომარეობაში ვიყავი, სადაზღვევო დახმარების გამცემმა კომისარმა საავადმყოფოს აცნობა, რომ ჩემს სამკურნალოდ განკუთვნილი სახსრები უკვე გადახდილია და რომ ეს ორგანიზაცია პასუხისმგებლობას აღარ კისრულობს ჩემი მკურნალობისათვის. მას შემდეგ შინა ვარ, კვლავ დამბლადაცემული და სამედიცინო მომსახურებას მოკლებული. კვირაში ვიღებ მხოლოდ 16 დოლარს სადაზღვევო დახმარების სახით, და ოჯახი უნდა შევინახო ამ ფულით, რაც იმისათვის არ მყოფნის, რომ ვიცხოვრო და საჭირო სამედიცინო მომსახურება მქონდეს“.

ამერიკული მედიცინის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ ბევრი მისი მუშაკი გამდიდრებისაკენ მიისწრაფვის. დოლარის შოვნისადმი მისწრაფება ამერიკის შეერთებულ შტატებში ხშირად ადამიანთა პირდაპირ დასახიჩრებას იწვევს. უფრო ხშირად ეს გამოიხატება ბევრი არასაჭირო ოპერაციის გაკეთებით. ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი ქირურგის ყოფილმა მოადგილემ დოქტორმა დრეიპერმა, რომელიც მედიცინაში კორუპციის გამოძიებას ეწეოდა, განაცხადა, რომ აპენდიციტის 54 ოპერაციიდან, რომლებიც მან გამოიკვლია, ოპერაციის აუცილებელი საჭიროება მხოლოდ 25 შემთხვევაში დადასტურდა. ბევრ არასაჭირო ოპერაციას უკეთებენ ქალებს, რაც მძიმე გავლენას ახდენს მათს ჯანმრთელობაზე. ამერიკის სამედიცინო ასოციაციის ოფიციალურმა ორგანომ ჟურნალმა „ჯორნელმა“ განაცხადა, რომ საშვილოსნოს ამოჭრის 6.248 ოპერაციიდან სულ მცირე მესამედი „არასაჭირო აღმოჩნდა“. 20-29 წლის ასაკის ბევრი ქალი, რომლებსაც ასეთი ოპერაცია გაუკეთეს, სრულებითაც არ იყო ავად. კერძო საავადმყოფოებში საშვილოსნოს ამოჭრის ისეთი ოპერაციების პროცენტმა, რომლებიც აუცილებლობით არ იყო გამოწვეული, 66-ს მიაღწია.

წიგნის „ბიზნესი მედიცინაში“ ავტორს მოჰყავს მკაფიო მაგალითი, რომელიც მოწმობს, რომ ამერიკელი ექიმების მისწრაფება გამდიდრებისადმი ხშირად იწვევს დანაშაულის ჩადენას. ამერიკის შეერთებულ შტატებში იშვიათი არ არის შემთხვევა, როცა 11-12 წლის გოგონებს სქესობრივი ორგანოების ოპერაციებს უკეთებენ. „რატომ სჩადიან ამას?“, — ჰკითხა წიგნის ავტორმა ერთ სამედიცინო ხელმძღვანელს. „ჰმ! — უპასუხა მან. — ეს ხომ 250 დოლარია. აი რა არის მიზეზი“.

ამერიკის შეერთებული შტატების მედიცინის მუშაკთა მისწრაფება გამდიდრებისადმი ხშირად წარმოშობს დაუდევრობას პაციენტთა მკურნალობაში. ამერიკის სამედიცინო ასოციაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ასოციაციის წევრ ყოველ მეშვიდე ექიმს ბრალად ედებოდა პაციენტების დაუდევარი მკურნალობა. ყველაზე ხშირად ასეთი შემთხვევები კალიფორნიის შტატში იყო.

ძალიან მძიმე მდგომარეობაშია ამერიკის ბევრი საავადმყოფო. გაზეთმა „ნიუ-იორკ პოსტმა“ მიმდინარე წლის მარტ-აპრილში გამოაქვეყნა თავისი კორესპონდენტი ქალის ჰეილ გრინის სტატიების სერია. ამ სტატიებში აწერილია ფორდემის საავადმყოფო, რომელიც ქალაქ ნიუ-იორკის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის.

„ჩვენი საავადმყოფოები, — წერს ჰ. გრინი, — კრიზისის მდგომარეობაში არიან... იგრძნობა მომსახურე პერსონალისა და ფულადი სახსრების მწვავე ნაკლებობა“. ამერიკის საავადმყოფოებში ნამდვილ მდგომარეობას რომ გასცნობოდა, ჰ. გრინმა ერთ-ერთ მათგანში (ფორდემის საავადმყოფოში) სანიტრად დაიწყო მუშაობა.

— ფორდემის საავადმყოფოში ორ თვეს მუშაობა, — წერს ჰ. გრინი, — საშინელების პერიოდი იყო ჩემთვის... ფორდემის საავადმყოფო კოშმარების ადგილია. მე ვხედავდი საავადმყოფოში უცნაურად მდუმარე და მორჩილ ბავშვებს, რომელთა ანთებულ სახეებზე გამოხატული იყო, რომ ისინი გასცეს. ვხედავდი მშობიარეებს, რომლებიც რამდენიმე დღის განმავლობაში იწვნენ სისხლით მოსვრილ ზეწრებზე. ვხედავდი უმწეო ბრმა ქალს, რომელიც მთელი დილის განმავლობაში იჯდა ღამის ქვაბზე... ვხედავდი ავადმყოფებს, რომლებსაც ივიწყებდნენ და ხშირად აწყენინებდნენ ხოლმე ნაჩქარევად გაწვრთნილი და დაქანცული მომვლელი ქალები... საავადმყოფოში ზოგჯერ ორ-ორ, სამ-სამ დღეს არ ჰყოფნით მედიკამენტები. არ არის სუფთა საცვლები და წებოვანი სალბუნი.

აგვიწერს რა შემდეგ ფორდემის საავადმყოფოს, ჰ. გრინი მოგვითხრობს:

— სანამ ფორდემის საავადმყოფოში ვიმუშავებდი, სიტყვა „საავადმყოფო“ ჩემში იწვევდა წარმოდგენას გაკრიალებულ ქრომირებულ ფოლადზე, თეთრ კედლებზე, გაქათქათებულ საცვლებსა და ბრჭყვიალა თეთრ შირინკეცებზე. ყოველივე ამის ნაცვლად ვნახე ჭუჭყი. ფანჯრები ჩამტვრეულია, შეწებებულია და დაფარულია ქვარტლით. შირმები ჭუჭყიანია. ფანჯრის დარაბების არც აწევა შეიძლება და არც დაწევა. ერთხელ ჭუჭყის წარმოუდგენლად სქელი ფენა ჩამოვფხიკე გინეკოლოგიურ განყოფილებაში მდგომ კარადას. № 4 პალატაში ყველაფერს, მათ შორის ტელევიზორსაც, მტვრის ისეთი სქელი ფენა ადევს, რომ მათ ალბათ მრავალი კვირის განმავლობაში ჩვარი არ მიჰკარებია.

— კედლები აჭრელებულია ნახვრეტებით და იქიდან მილებია გამოჩრილი. საწოლებს ქვეშ ბათქაშის ნამტვრევები ყრია. კიბეები ახორკლილია. ჰერი ინგრევა, ავადმყოფთა დაბინძურებულ ტუალეტის ოთახში ყველაფერს პაპიროსის ფერფლი აყრია.

თავისი კორესპონდენციების დასასრულს ჰ. გრინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფორდემის საავადმყოფო „ნიუ-იორკისა და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ტიპიური საავადმყოფოა“.

ასეთია ზოგიერთი „შეულამაზებელი ფაქტი“, რომლებიც ეხება მოსახლეობის ფართო მასების სამედიცინო მომსახურებას ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჭეშმარიტად, ამ ფაქტებს არავითარი კომენტარი არ ესაჭიროება.

**ბ. სედოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ასე იქცევიან საბჭოთა ადამიანები

მახარაძის რაიონის კონჭკათის კოლმეურნეები — 5 ქალი და 2 კაცი მდინარე სუფსაზე პატარა ნავით გადიოდნენ. მავთული, რომლის საშუალებით ნავი მენავის დახმარებით ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე გადის, შუა მდინარეში მოულოდნელად გაწყდა და ნავი მგზავრებით ადიდებულმა მდინარემ გაიტაცა. რამდენიმე წუთი, და მდინარე ნავს კლდეზე მიანარცხებდა, კოლმეურნეების დაღუპვა გარდუვალი იყო.

მახლობელ საკოლმეურნეო ფართობში მომუშავე ახალგაზრდა ტრაქტორისტმა ვ. კვერღელიძემ დაინახა თუ არა ეს, მაშინვე შეაჩერა ტრაქტორი და გადაეშვა მდინარეში, სწრაფად მისცურა განწირულ მგზავრებთან, მაგრად ჩასჭიდა ხელი ნავს და ცურვითვე წამოიღო ნაპირისაკენ.

ასე გადაარჩინა გამბედავმა ტრაქტორისტმა კოლმეურნეები დახრჩობას, რითაც მთელი სოფლის გულითადი მადლობა დაიმსახურა.

**შ. ზაქარიაძე,**
სოფლკორი.

**ჭიათურა.** (საკ. კორ.). ქუთაის-დარკვეთის მატარებლით მგზავრობისას ლენინის სახელობის მაღაროს ამბულატორიის მედიცინის დამ თ. მაისურაძემ იპოვნა ხელჩანთა ფულითა და საბუთებით.

თ. მაისურაძემ შეიტყო მეპატრონის ვინაობა და ნაპოვნი დაუბრუნა.

## ჭადრაკი

საერთაშორისო ოსტატის ვ. გოგლიძის რედაქციით

### ალიოხინის დაცვა

ს. მეგრელიშვილი (თეთრები) — ა. ბრეიტმანი (შავები)

1. e4 მf6 (თავის დროზე საკმაოდ გახმაურებული გამოგონებაა ა. ალიოხინისა: შავები დებიუტშივე ურიგდებიან ტემპის დაკარგვას იმ მიზნით, რომ შეასუსტონ მოწინააღმდეგის პაიკების ჯაჭვი. ამ დაწყების ძვირფასი ანალიზი მოგვცეს საბჭოთა ოსტატებმა ილინ-ჟენევსკიმ და მიკენასმა, აგრეთვე თბილისელმა ოსტატმა სოროკინმა. ამჟამად დიდ შეჯიბრებებში იშვიათად ვხვდებით ალიოხინის დაცვას, რადგან თეთრები რამდენადმე უკეთეს პოზიციას აღწევენ). 2. e5 მd5 3. d4 d6 4. მf3 კg4 5. კe2 c6 (გროსმაისტერ ს. ფლორის სვლა, რომელიც შავებს ცუდ თამაშს უქმნის თეთრების შემდეგი პასუხით). 6. მg5! კ:e2 7. ლ:e2 d:e5 8. d:e5 e6 9. 0—0 მd7 10. f4 h6 11. მe4 ლb6+ 12. მფh1 0—0—0 13. c4 ლa6 14. კd2 მc5 15. მbc3 მb6 16. b4 (სადებიუტო ნაწილი დამთავრდა და თამაში აშკარად თეთრების სასარგებლოდ წარიმართა. ისინი ფლობენ საჭადრაკო დაფას, შავების ფიგურები კი ლაზიერის ფლანგზე შეჭუჩულან და არა აქვთ კარგი განვითარების პერსპექტივა). 16... მd3?



ა. ბრეიტმანმა დაუშვა შეცდომა, რომელმაც ფიგურის დაკარგვა გამოიწვია. უკეთესი იყო ეთამაშა 16... მ:e4 17. მ:e4 ეd7, შემდეგ მc5, რომ ფიგურების გაცვლით ცდილიყო თავისი მდგომარეობის შემსუბუქებას.

17. კe3! (მოხდენილი სვლაა, რომელიც შავებმა ვერ გაითვალისწინეს. ს. მეგრელიშვილი იწყებს შემოკრილი ცხენის ალყის შემორტყმას). 17... კe7 18. a3! (მხედარს უკანდასახევ გზას უჭრის „b4“ უჯრედზე). 18... f5 19. მd6+ კ:d6 20. e:d6 ე:d6 21. c5 მ:c5 22. კ:c5 ლ:e2 23. მ:e2 ეd2 24. ეd4 მd7 25. მf3 ეd5 26. ეd4 ეg8 (თეთრებმა კარგი თამაშით ორი პაიკის სანაცვლოდ ფიგურა მოიგეს. ამას გარდა, მათ მნიშვნელოვანი პოზიციური უპირატესობა აქვთ. იწყება პარტიის დასკვნითი ნაწილი, სადაც იგრძნობა, რომ ახალგაზრდა მოჭადრაკე ს. მეგრელიშვილს არა აქვს საკმარისი ტექნიკა. ამის შედეგად პარტია ჭიანურდება). 27. ეad1 g5 28. ეe5? (პირველი არასიზუსტეა, რაც პარტიას ართულებს, ეს კი სასარგებლოა შავებისათვის. უფრო ძლიერი იყო 28. g3). 28... g:f4 29. მ:d7 ეფ:d7 30. კ:a7 e5 (თეთრების შეცდომის შედეგად ა. ბრეიტმანმა ძლიერი ცენტრალური პაიკები მიიღო). 31. a4 ეფe6 32. კb6 ეg7 33. ე:d5 c:d5 34. ეc1 h5 35. მფg1 f3 36. g3 h4 37. მფf2 ეg4 (აშკარაა, შავებმა გამსვლელი პაიკების წყალობით საშიში კონტრთამაში მიიღეს). 38. კc5 h:g3+ 39. h:g3 f4 40. ეg1 e4 41. g:f4 ეh4? (შავები სწორად არ თამაშობენ. საჭირო იყო დაუყოვნებლივ მოეკლათ პაიკი „f4“ უჯრედზე, რითაც გააქარტიევებდნენ პოზიციას). 42. ეg6+! (პარტიის გადადების შემდეგ ჩაწერილი სვლაა, რაც შავებისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. პოზიციის ანალიზის შემდეგ ს. მეგრელიშვილმა იპოვა დამაჯერებელი გეგმა მატერიალური უპირატესობის განაღდებისათვის). 42... მფf7 43. მფg3! ეh7 44. ეg5 ეh6 45. ე:d5 b5 46. ეd6! ეh8 47. ე:b6 ეg8+ 48. მფf2 ეg2+ 49. მფf1 ეc2 50. ეb4! (შესანიშნავი სვლაა, თეთრები უკან უბრუნებენ ფიგურას, სამაგიეროდ იღებენ მოწინააღმდეგის გამსვლელ პაიკებს). 50... ე:c5 51. ე:e4 ეc3 52. ეb4 ეc2 53. a5 მფf6 54. a6 ეc7 55. მფf2 მფf5 56. მფ:f3 ეc3+ 57. მფe2. შავები დანებდნენ.

მიუხედავად ცალკეული ნაკლოვანებებისა, ს. მეგრელიშვილმა კარგად ითამაშა პარტია.

## მოდიან ვაშაკიძენი

ნე ფოთლის საკრეფად მიდიან. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობაში სამუშაოდ დარჩენა უსურვებიათ.

ათი ქალიშვილია მესამე ბრიგადის პირველ რგოლში, ათივე ვაშაკიძენი. მხოლოდ გვარი აქვთ ერთნაირი და, თუ შეიძლება ითქვას, მისწრაფებაც — ყველას უნდა კეთილშობილური შრომა, სწავლა და ბედნიერი ოჯახის შექმნა.

აქ სურათში მხოლოდ ხუთ ქალიშვილს ვხედავთ, დანარჩენი ხუთი კი მეორე უბანში გადასულა სამუშაოდ. როგორც კი მათ ერთად დაინახავენ გზაზე, ხუმრობით იტყვიან ხოლმე ენამოსწრებული ბიჭები: ფრთხილად, ვაშაკიძენი მოდიან!

ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის წინ ერთად შეიკრიბნენ იზოლდა, მერი, ლეილა, თამარ, მედიკო, ნალუზი, ანგელინა, ელენე, მარი და ნანული. ფოთოლი უხვად შემოდიოდა პლანტაციაში. ქალიშვილებმა გადაწყვიტეს გეგმით ნავარაუდევი სამი ტონის ნაცვლად წელს მოკრიფონ ექვსი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

დიდი ჯიხაიში!

გაიზარდა, აყვავდა ახალი ჯიხაიში. იგი ნამდვილად ახლაა დიდი თავისი დიადი ცხოვრებით, შრომისმოყვარე ადამიანებით. სოფლად შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, საშუალო სკოლა, და ყველაფერი ეს მოხდა კოლმეურნეობის დაარსების შემდეგ. ჯიხაიშელებმა „წითელი ოქტომბერი“ დაარქვეს თავიანთ კოლმეურნეობას. დოვლათს ქმნიან, ჩაის უხვი მოსავლით ამდიდრებენ სოფელს ოქტომბრის შუქით გამთბარი ადამიანები.

აი ეს ქალიშვილები კი ჩაის მწვა-

ფოტო დ. იაკობაშვილისა.
(წარმოდგენილია ფოტოკონკურსზე)

# როცა ვისმენთ „დარეჯან ცბიერს“

**თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ოპერა „დარეჯან ცბიერის“ ახალი დადგმის გამო**

ფიქრები, რომლებიც ამ წერილით მსურს მკითხველებს გავუზიარო, ალბათ, მთელ ჩვენს მუსიკალურ საზოგადოებრიობას, ეროვნული კულტურის ყველა ჭეშმარიტ მოტრფიალეს აღელვებს. ბევრჯერ თქმულა ხმამაღლა, რომ ჩვენი საოპერო ჟანრი ჩამორჩენილია, არა გვაქვს სრულფასოვანი საბჭოთა ოპერა, თუმცა ქართველი კომპოზიტორები ნაკლებ ხალისით როდი მუშაობენ ამ დარგში.

ეს მართლაც ასეა და ამას თვითეული ჩვენგანი გრძნობს, მაგრამ აქვე დავსვათ კითხვა: ჯეროვნად ვაფასებთ თუ არა იმ მემკვიდრეობას, რომელიც გასული საუკუნის ქართველმა მუსიკოსებმა დაგვიტოვეს? სამწუხაროდ, არა. მრავალი წლის განმავლობაში არა ჟღერს ეროვნული საოპერო ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები, და აქ დიდი ნაკლის დასაძლევად ნაბიჯები მხოლოდ რამდენიმე ხნის წინათ გადაიდგა. თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე ახალი დადგმით იქნა წარმოდგენილი მელიტონ ბალანჩივაძის ოპერა „დარეჯან ცბიერი“. ეს ნამდვილად მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს მუსიკალურ ცხოვრებაში.

„დარეჯან ცბიერი“ ქართული მუსიკალური ხელოვნების ისტორიაში შევიდა როგორც პირველი ეროვნული ოპერა, რომელმაც ქართულ მუსიკაში ამ ჟანრის განვითარების გარკვეული გზები დასახა.

მისი პირველი დადგმა, რომელიც 1926 წელს განხორციელდა, მრავალრიცხოვანმა მსმენელმა აღფრთოვანებით მიიღო. ეს ნაწარმოები დიდი წარმატებით სარგებლობდა ქართული ხელოვნების პირველ დეკადაზე მოსკოვში. მოსკოვის პრესა ერთხმად აღნიშნავდა მის მრავალ ღირსებას. მელოდიური სიმდიდრე, მუსიკის ეროვნული ელფერი, მუსიკალური დახასიათების გამომსახველობა დიდი ხანია ქართველ მსმენელს გულში ღრმად ჩასწვდა და შეაყვარა „დარეჯან ცბიერი“.

უფროსი თაობის წარმომადგენლის მ. ბალანჩივაძის ამ ოპერის ახალი დადგმა სავსებით დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას ტოვებს ვოკალური და რეჟისორული დამუშავების მხრივაც. როგორც ყოველთვის, დამდგმელთა მთელი კოლექტივი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ვ. ტაბლიაშვილის ხელმძღვანელობით დიდი სიყვარულით, მონდომებით მუშაობდა. დამდგმელმა რეჟისორმა ბევრი გააკეთა, რომ ოპერა ღირსეულად წარმომდგარიყო მსმენელის წინაშე. საამო შთაბეჭდილებას ტოვებს ი. ასკურავას მხატვრობა. სავსებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია მეორე და მესამე მოქმედების გაერთიანება, რითაც ოპერა უფრო მთლიანი და შეკრული გახდა.

სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვით ორკესტრზე (დირიჟორი მ. ბორჩხაძე). იგი შეწყობილად არა ჟღერს, რიტმულად უთანაბროა.

როგორც უკვე ვთქვით, „დარეჯან ცბიერის“ აღდგენა ნამდვილად თვალსაჩინო მოვლენაა ჩვენს მუსიკალურ ცხოვრებაში, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი და საჭიროა მისი შენარჩუნება თეატრის რეპერტუარში. თუ ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის მეორე დეკადისათვის მზადების წლებში შეიძლებოდა გაგვემართლებინა ის ამბავი, რომ ზ. ფალიაშვილის „ლატავრა“ და დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ არ იდგმებოდა, ახლა ამ უყურადღებობას ბოლო უნდა მოეღოს. ამ ნაწარმოებებმა თავის დროზე ხომ მნიშვნელოვანი ისტორიული როლი შეასრულეს ჩვენს რესპუბლიკაში საოპერო ჟანრის განვითარებაში. ესეც არ იყოს, „ლატავრასა“ და „შოთა რუსთაველს“ ბევრი ძვირფასი თვისება აქვს და ჩვენმა მსმენელმა ისინი ღირსეულად შეიყვარა. მართალია, დ. არაყიშვილის ოპერა პირვანდელი სახით მიუღებელია და თეატრმა ერთხელ კიდეც გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი მისი ახალი რედაქციის შესაქმნელად, რაც, სამწუხაროდ, მთლიანად დამაკმაყოფილებელი როდი იყო, მაგრამ ამ პირველმა წარუმატებლობამ არ უნდა შეგვაშინოს. საჭიროა შემდეგშიც გაგრძელდეს მუშაობა, ვინაიდან ოპერის მუსიკალური მხარე ამის საშუალებას იძლევა. ჩვენი საზოგადოებრიობა სავსებით სამართლიანად მოითხოვს, რომ ორივე ეს ქმნილება თავის მშობლიურ სცენაზე იხილოს.

საბჭოთა საქართველოს კომპოზიტორებმა მემკვიდრეობად მიიღეს კლასიკოსთა შესანიშნავი საოპერო შემოქმედება. ოპერა ჩვენი მსმენელისათვის ერთ-ერთი უაღრესად პოპულარული და საყვარელი ჟანრია. ამიტომაც ბუნებრივია ის ინტერესი, რითაც ჩვენს დედაქალაქში ყოველი ახალი საოპერო ნაწარმოების გამოჩენას ხვდებიან. გასულ პერიოდში ქართველმა კომპოზიტორებმა ბევრი ოპერა შექმნეს, რომელთა შორის ზოგიერთი დიდი ყურადღების ღირსია. მაგრამ მხოლოდ ერთი საბჭოთა ოპერა — ა. ბუქიას „დაუპატიჟებელი სტუმრები“ შერჩა რეპერტუარს. ნუთუ დასაშვებია, რომ ასე უკუვაგდოთ ამ ჟანრში შექმნილი, და ჩვენი თეატრის ეროვნული რეპერტუარი მხოლოდ სამი კლასიკური ქმნილებით ამოვწუროთ?

ჩვენს საოპერო თეატრს ვერ ვუსაყვედურებთ საბჭოთა ოპერის შექმნის პრობლემისადმი არასერიოზულ დამოკიდებულებას. დასადგმელად მიღებული ყოველი ახალი ნაწარმოები იქმნება მთელი კოლექტივის ნებისყოფით, გულმოდგინე შემოქმედებითი მუშაობის ვითარებაში. მაგრამ საკმარისი ხომ არ არის ოპერის დადგმა, მასზე დიდი მატერიალური და შემოქმედებითი რესურსების დახარჯვა. საჭიროა რეპერტუარში შევინარჩუნოთ ის კარგი და საუკეთესო, რაც ქართულმა საბჭოთა საოპერო ხელოვნებამ თავისი განვითარების გზაზე შექმნა. ისეთი ოპერები, როგორიც არის შ. მშველიძის „ამბავი ტარიელისა“, ა. კერესელიძის „ბერუჩა“, ა. ანდრიაშვილის „კაკო ყაჩაღი“, ა. ბალანჩივაძის ბრწყინვალე ბალეტი „მთების გული“ მეტი ყურადღებისა და პატივისცემის ღირსია. ჩვენი მსმენელები უნდა ვაზიაროთ ამ ნაწარმოებებს, რომელთაც უდავო მხატვრული ღირსებები ახასიათებს. რა თქმა უნდა, კომპოზიტორებმაც ზოგიერთ ადგილს უნდა გადახედონ, შეავსონ, გააღრმავონ, უფრო სრულყოფილი სახით წარმოადგინონ.

ეროვნული მუსიკის მეტი პოპულარობისა და პროპაგანდის გაძლიერების აუცილებლობაზე როცა ვლაპარაკობთ, ერთ საკითხსაც უნდა შევეხოთ. ეს არის ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების გამოცემა და ჩაწერა. წარმოუდგენელია, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ არაფერი ვთქვათ საბჭოთა ოპერებსა და ბალეტებზე, საქართველოში ჯერაც გამოცემული არ არის კლავირები ისეთი ოპერებისა, როგორიც არის „დარეჯან ცბიერი“, „ლატავრა“, „ქეთო და კოტე“ და „თქმულება შოთა რუსთაველზე“. საქართველოს რადიომ კი ჩვენი საოპერო მემკვიდრეობიდან მოახერხა მარტო „ქეთო და კოტეს“ სასტუდიო ჩაწერა, ხოლო ა. ბუქიას „დაუპატიჟებელი სტუმ-



რები“ გვაქვს მხოლოდ რუსულ ენაზე საკავშირო რადიოს წყალობით. განა ეს ნორმალურია? განა მოსათმენია ისეთი გარემოება, როცა ფირფიტებზე არც ერთი ოპერა მთლიანად არ არის ჩაწერილი? — ამ მხრივ სხვა მოძმე რესპუბლიკებმა ბევრად გაგვასწრეს. ამისათვის არც დრო, არც სახსრები და არც ენერგია არ უნდა დავიშუროთ, ეს ნამდვილად საშვილიშვილო საქმეა.

**მირა ფირხაძე,**
მუსიკათმცოდნე.

• • •

**სურათზე:** სცენა სპექტაკლიდან „დარეჯან ცბიერი“. გოჩა (ბ. კრაველიშვილი) და დარეჯანი (ა. მურადოვა).

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## ინდოეთის ხელოვნების ნიმუშები

უძველესი ტრადიციები აქვს ინდოეთის თანამედროვე დეკორაციულ-გამოყენებითს ხელოვნებას. ხალხური ოსტატების ხელოვნება მკაფიოდ გამოვლინდა კერამიკაში, ლითონის ნაკეთობებში, სპილოს ძვლის და ხის ჩუქურთმებში, ქსოვილებში, ნაქარგებში და სხვ.

ამიტომ დიდ ინტერესს იწვევს საქართველოს ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლური ხელოვნების განყოფილებაში მოწყობილი ინდოეთის თანამედროვე დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა. რამდენიმე სტენდზე განლაგებულია თანამედროვე ხალხური შემოქმედების შესანიშნავი ნიმუშები. აი ბალახის, ჩალის და პალმის ფოთლებისაგან გაკეთებული ჭილობები, ქუდები, საპურეები, ქოშები. ისინი, თითქოს აბრეშუმისაგან არის დაწნულიო, თვალს იტაცებენ სინატიფითა და ფერების შეხამებით.

ორიგინალურია საწერი მაგიდის გარნიტური — ლამპა და საფერფლე, გაკეთებული ბენგალიის სრუტის ნიჟარებისაგან, ოქრომკედით, ვერცხლით ნაქარგი ქალის ჩანთები, შესანიშნავი ქსოვილები.

**ნ. ირემაძე.**

## ჩეხური ჟურნალი პროფ. პ. გუგუშვილის ნაშრომის შესახებ

ქართველი მეცნიერის პროფ. პ. გუგუშვილის მრავალ მონოგრაფიულ გამოკვლევათაგან რამდენიმე გადათარგმნილი და გამოცემულია რუსულ ენაზე. ისევე როგორც მისმა სხვა ნაშრომებმა, ფართო გამოხმაურება ჰპოვა და მკითხველის დიდი ინტერესი გამოიწვია ფუნდამენტურმა მეცნიერულმა ნარკვევმა „მრეწველობის განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში მე-19-მე-20 საუკუნეებში“.

დასახელებულ გამოკვლევას (პირველ ტომს) მაღალი შეფასება მისცა ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ორგანომ „პოლიტიცკა ეკონომიე“ თავის ფურცლებზე დაბეჭდილ რეცენზიაში.

„...პ. გუგუშვილის ნაშრომიდან ჩანს,— ვკითხულობთ რეცენზიაში, — რომ ამ რესპუბლიკაში გამოდის ისეთი ორიგინალური, დიდი იმპულსის მომცემი ეკონომიური შრომები, რომელთა შესწავლა შეიძლება ჩვენთვის ცოდნის მნიშვნელოვან საგანძურად იქცეს“.

ბოლოს რეცენზენტი დაასკვნის: „პ. ბ. გუგუშვილის შრომის პირველი ტომი ვრცელ მასალებსა და დიდძალ ლიტერატურულ წყაროებზეა დაფუძნებული. ნაშრომი მთლიან, ჩამოყალიბებულ შეხედულებას იძლევა ამიერკავკასიაში ინდუსტრიული წარმოების პირველსაწყისი სტადიების განვითარებაზე და წარმატებით აშუქებს მთელ რიგ ფუძემდებლურ საკითხებს“.

## მოსკოვის დინამოელები იუგოსლავიაში

სსრ კავშირის პირველობის გათამაშების ლიდერი მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივი საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად სტუმრად იმყოფება იუგოსლავიაში. მორიგი შეხვედრა საბჭოთა ფეხბურთელებმა გამართეს 5 ივნისს ზაგრებში ადგილობრივ „დინამოსთან“. შეჯიბრება დამთავრდა მოსკოვის „დინამოს“ გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 4:2. მორიგ შეხვედრას საბჭოთა ფეხბურთელები გამართავენ 9 ივნისს სპლიტში „ჰაიდუკის“ გუნდის წინააღმდეგ.

## შეხვედრა კალათბურთში

საბჭოთა კავშირში სტუმრად იმყოფება ბუქარესტის „დინამოს“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდი. პირველი საერთაშორისო მატჩი რუმინელმა სპორტსმენებმა გამართეს მოსკოვში 5 ივნისს. სტუმრების წინააღმდეგ თამაშობდა დედაქალაქის საკლუბო გუნდების კალათბურთელთა ნაკრები კოლექტივი. შეხვედრა დამთავრდა საბჭოთა კალათბურთელების გამარჯვებით ანგარიშით 74:57 (32:34).

## მატჩი კიშინიოვში

**კიშინიოვი.** 6 ივნისი. აქ გაიმართა სსრ კავშირის პირველობის გათამაშების მორიგი შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ თბილისის „დინამოსა“ და კიშინიოვის „მოლდოვას“ გუნდები. მატჩი დამთავრდა კიშინიოველთა გამარჯვებით 2 : 0.

## ქირურგია ატომგულის საუკუნეში

ამა წლის იანვარში, შვეციის ქალაქ უპსალეში 54 წლის მამაკაცისათვის, რომელიც ფსიქიური დაავადებით და აუტანელი თავისტკივილებით იტანჯებოდა, ოპერაცია უნდა გაეკეთებინათ. ავადმყოფობის მიზეზად თვლიდნენ პატარა, ცერცვისოდენა სიმსივნეს თავის ტვინში.

ავადმყოფს ოპერაცია გაუკეთდა არა ჩვეულებრივი, არამედ სრულიად ახალი და განსაცვიფრებელი წესით. ავადმყოფისთვის თავის ქალა არ აუხდიათ, დანები, პინცეტები და სხვა ქირურგიული ინსტრუმენტები არ გამოუყენებიათ. ოპერაცია ავადმყოფს გაუკეთეს არა საოპერაციო დარბაზში, არამედ ატომგულის ქიმიის ინსტიტუტში ატომგულის ფიზიკის სპეციალისტთა მონაწილეობით. ქირურგიულ ინსტრუმენტად გამოყენებული იყო სინქროციკლოტრონი, უკეთ — მის მიერ გაფანტული პროტონების კონა. ასეთი კონა შეაღწევს ხოლმე ძვლებსა და ქსოვილებში ორ ათეულ სანტიმეტრზე მეტ სიღრმეში და რამდენიმე ხანში შლის მათ. მაგრამ საჭირო იყო ხომ მარტო სიმსივნის დაშლა საღი ქსოვილების დაუზიანებლად! აი ამიტომ, პროტონის სხივმა რომ არ იმოქმედოს ტყვიის ან ბურღის მსგავსად, საოპერაციო მაგიდას განუწყვეტლივ ატრიალებდნენ იმ ანგარიშით, რომ სახიფათო სხივი მუდამ სიმსივნეში გასულიყო.

ამრიგად, ოპერაცია ისე ჩაატარეს, რომ არც მიჰკარებიან ავადმყოფს. უფრო მეტიც, ოპერაციის დროს დარბაზში არავინ არ იყო: ქირურგები და სპეციალისტი-ფიზიკოსები იმყოფებოდნენ მეზობელ შენობაში ტელესამართავის პულტთან.

ოპერაციამ ბრწყინვალედ ჩაიარა. მისი დამთავრების შემდეგ ავადმყოფი ადგა და წავიდა სავახშმოდ. მისი გამოწერა მაშინვე შეიძლებოდა, მაგრამ დატოვეს საავადმყოფოში, რათა შეისწავლონ ატომგულის საუკუნის დასაწყისის ამ არაჩვეულებრივი ოპერაციის შედეგები.

(„ზნანიე — სილა“. 1959 წ. № 4).

## საჭადრაკო ტურნირი ციურიხში

**ციურიხი,** 5 ივნისი. (საკდესი). მე-13 ტურში ტურნირის ლიდერი ტალი დაამარცხა გლიგორიჩმა. ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონმა ფიშერმა აჯობა დონერს, კერესმა მოუგო კელერსა და ბენდმა — ბარცას. უნციკერი და ოლაფსონი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ახლა მიმდინარეობს მე-12 და მე-13 ტურების გადადებული პარტიების დამთავრება. განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს ფიშერ-კერესის პარტიის გათამაშება, რომელშიც საბჭოთა გროსმაისტერი დამარცხების ზღვარზეა. თუ ფიშერმა ეს პარტია მოიგო, ტალს დაეწევა, რომელსაც 10 ქულა აქვს. მესამე ადგილზეა გლიგორიჩი — 9,5 ქულა.

შაბათს გაიმართება მე-14, უკანასკნელისწინა ტური, ხოლო კვირას — უკანასკნელი, მე-15 ტური, რომლისადმი ციურიხში უდიდეს ინტერესს იჩენენ, რამდენადაც უნდა მოხდეს ტალ-ფიშერის გადამწყვეტი შეხვედრა.

## რესპუბლიკური საჭადრაკო პირველობა

საქართველოს საჭადრაკო პირველობის მეთექვსმეტე ტურში ა. ბლაგიძემ დამარცხება განიცადა ა. წერეთელთან. თ. გიორგაძემ მოუგო ა. ბრეიტმანს, მ. შიშოვმა — ს. მეგრელიშვილს. წარმატებით იბრძოდა ნ. გაფრინდაშვილი ა. ბუსლაევის წინააღმდეგ. ზუსტი დაცვით ა. ბუსლაევმა თავი დააღწია დამარცხებას და პარტია ყაიმით დაამთავრა. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ბ. გურგენიძე — ო. თურქესტანიშვილისა და ი. ვეტოხინ—დ. ჯანოევის პარტიები. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

16 ტურის შემდეგ ოსტატ ბ. გურგენიძეს 13 ქულა აქვს, ოსტატ მ. შიშოვსა და ა. ბუსლაევს ათნახევარ-ათნახევარი ქულა.

რედაქტორი
**დ. მჭედლიშვილი.**

## რადიო

**7 ივნისი**
**პირველი პროგრამით**

11.00 — რადიოგაზეთის „საქართველოს პიონერის“ საკვირაო გამოშვება, 11.30 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 12.15 — სიმღერები საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის ვოკალური კვარტეტის შესრულებით, 12.45 — აფხაზური სიმღერები, 14.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის. რადიოინსცენირება ვალენტინოვის მოთხრობისა „ერთი მდინარის საიდუმლოება“, 14.45 — საუბარი: „ხდება თუ არა სასწაული“, 15.00 — კონცერტის ტრანსლაცია ერევნიდან, 15.40 — ლიტერატურული გადაცემა, მიძღვნილი აკადემიკოს კორნელი კეკელიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, 16.15 — გადაცემა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეომრებისათვის, 17.00 — საერთაშორისო მიმოხილვა, 17.20 — კონცერტი, 17.45 — კონცერტი მოსწავლეთათვის, 18.00 — კონცერტი რადიომსმენელთა დაკვეთით, 19.00 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 19.30 — რადიოჟურნალი ქალებისათვის, 20.00 — პუჩინის ოპერა „ტოსკას“ ტრანსლაცია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრიდან, 21.00 — კონცერტის ტრანსლაცია საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრიდან. ანტრაქტში — ლიტერატურული გადაცემა.

## ტელევიზია

**7 ივნისი**
**დღისით**
**გადაცემა მოსწავლეთათვის**

12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 12.15 — კინოჟურნალი „პიონერია“ № 5, 12.25 — ჟურნალ „პიონერის“ ფურცლებზე, 12.40 — მოკლემეტრაჟიანი ჩეხური მხატვრული ფილმი „თოჯინების აჯანყება“, 12.50 — მეცნიერულ-პოპულარული ფილმი „სიცოცხლის ძალა“.

**საღამოს**

19.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 19.50 — გადაცემა — „ელმავალმშენებელ ქარხანაში“, 20.10 — გადაცემა ციკლიდან — „მხატვრული კითხვის ოსტატები“ — ვსევოლოდ აქსენოვი, 20.25 — გადაცემა — „ცეკვავს გალინა ულანოვა“, 21.15 — ახალი მხატვრული ფილმი „ვანია“.

## თბილისი
თეატრებსა და კინოებში

**7 ივნისი**

**ოპერისა და ბალეტის** — გორდა (დღისით, მე-4 აბონ. მე-6 წარმოდგენა უმცროსი ასაკის და მე-2 აბონემ. მე-6 წარმოდგენა უფროსი ასაკის მოსწავლეთათვის), ტოსკა (საღამოს, მე-7 აბონემენტის მე-10 წარმოდგენა ქ. გეინე-ვაგნერის მონაწილეობით), **რუსთაველის სახელობის** — ორი ბატონის მსახური (დღისით), არაგველები (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — 100 ათასი (დღისით), რიჩარდ მესამე (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — ორი ფერი (დღისით და საღამოს), **ფილარმონიის საზაფხულო** — ლიტერატურულ-მუსიკალური სპექტაკლი „ეგმონტი“ — ვ. აქსენოვის მონაწილეობით.

• • •

**რუსთაველის სახელობის,** ამირანი (საზამთრო), **ოქტომბერი, სპარტაკი, საქართველო** (მწვანე დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** — წარსული ზაფხული, **ამირანი** (საზაფხულო), **ფილარმონიის ბაღი, ისანი** (საზამთრო), **ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი, ვაკის პარკი** — ისინი იცნობდნენ ერთმანეთს, **ისანი** (საზაფხულო), **თბილისი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **საქართველო** (წითელი დარბაზი) — შავი ბატალიონი, **კომკავშირელი** — დედინაცვალი, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზამთრო), **ყაზბეგი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო) — მაისის ვარსკვლავები, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **კოლხიდა** (საზამთრო), **კიროვის სახელობის პარკი** — მამისეული სახლი, **კოლხიდა** (საზაფხულო) — მოგზაურობა ნეპალში, **მტრობა, გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზამთრო), **ოფიცერთა სახლი, სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლი** — შენს ხელშია სიცოცხლე, **ოქტომბრის რაიონის ახალი** (საზაფხულო) — ქართული კინოფილმების ფესტივალი, **კოლმეურნე, დიდუბე** (საზამთრო), **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** — მაია წყნეთელი.

## „მსოფლიო თეატრის ენციკლოპედია“

ზოგადი მონუმენტური მრავალტომიანი „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ (მეორე გამოცემის) დამთავრების შემდეგ გამომცემლობა „დიდი საბჭოთა ენციკლოპედია“ შეუდგა კულტურის სხვადასხვა დარგების, მათ შორის ფილოსოფიური, ლიტერატურული, მუსიკალური, კინოხელოვნების, თეატრალური და სხვა ვიწრო სპეციალური ენციკლოპედიური ლექსიკონების სერიების მომზადებასა და გამოცემას.

კერძოდ, თეატრალურ ენციკლოპედიურ ლექსიკონში, რომელიც გამოსაცემად მზადდება ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ს. მოკულსკის მთავარი რედაქტორობით, ყოველმხრივ გაშუქებული იქნება თეატრალური ხელოვნების ყველა ჟანრი. მასში ფართოდ იქნება წარმოდგენილი თეატრისა და დრამატურგიის თეორიის, მსოფლიოს ყველა ქვეყნის თეატრალური ხელოვნების ისტორიის, აქტიორული და რეჟისორული ხელოვნების, სპექტაკლის დეკორაციული გაფორმების, თეატრალური არქიტექტურისა და სცენიური ტექნიკის მდიდარი მასალები, აგრეთვე მრავალი სტატია, შემოქმედებითი ბიოგრაფია და ბიბლიოგრაფიული ცნობა.

თეატრალურ ლექსიკონში დიდ ადგილს დაიჭერს ჩვენი სამშობლოს ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის თეატრალური ხელოვნების მდიდარი ისტორიული ტრადიციების გაშუქება. ენციკლოპედიური ლექსიკონი შეეხება აგრეთვე საბჭოთა სამეცნიერო და სასწავლო თეატრალურ ინსტიტუტებსა და სასწავლებლებს.

ლექსიკონის მომზადებასა და გამოცემაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ცნობილი საბჭოთა თეატრმცოდნეები და თეატრალური კრიტიკოსები, რუსული და სხვა საბჭოთა ეროვნული თეატრების წამყვანი შემოქმედებითი მუშაკები, 37 სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და ორგანიზაციის კოლექტივები, სახალხო-დემოკრატიული და კაპიტალისტური ქვეყნების მთელი რიგი ცნობილი თეატრალური მოღვაწეები და კრიტიკოსები.

გამოცემა ოთხტომიანი იქნება. მასში მოთავსდება 14 ათასამდე წერილი და 2.500-ზე მეტი ფოტოილუსტრაცია.

თეატრალური ენციკლოპედიის პირველი ტომი, რომელშიც შევა ისეთი საინტერესო ზოგადი სტატიები, როგორიც არის „აქტიორული ხელოვნება“, „ბალეტი“, „დრამა“, „დეკორაციული ხელოვნება“ და სხვ. 1960 წელს გამოვა.

**დ. გველესიანი.**

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46 პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის—3-16-90, სოფლის მეურნეობის—3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

უე 02370 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. 3